2019 წელს შესრულებული ნაშრომით გათვალისწინებულია ციხისძირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ობიექტის – ადრეანტიკური-ადრემუასაუკუნეების ხანის (ძვ.წ. V–ახ.წ. VI სს.) სამაროვნის (სულ 315 სამარხეული კომპლექსი) გამოცემა და სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანა, რომელიც მანამდე არ ყოფილა გამოქვეყნებული. ციხისძირის სამაროვანი წარმოადგენს უძვირფასეს საისტორიო წყაროს ადრეანტიკური და ელინისტური ხანის კოლხეთის ისტორიის, მათ შორის ბერძნული კოლონიზაციის პროცესების შესასწავლად, ხსენებული ეპოქის საზოგადოების სამეურნეო საქმიანობის, ყოფა-ცხოვრების, კულტურისა და რელიგიური რწმენა-წარმოდგენების რეკონსტრუქციისათვის.

ნაშრომი „ციხისძირის სამაროვანი“ ორი ნაწილისაგან შედგება: სამარხების სრული კატალოგისა და სამარხეული ინვენტარის ანალიზისაგან. ნაშრომში განხილულია მიცვალებულთა დაკრძალვის წესები, სამარხთა ტიპები და ინვენტარის ჩაყოლების კანონზომიერებანი; მოცემულია მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი სამარხეული ინვენტარის დახასიათება და ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური ანალიზი, ესენია: თიხის ჭურჭელი (ადგილობრივი და იმპორტული), ლითონის სამკაული, მინის ჭურჭელი, მინის მძივები და მძივსაკიდები, ლითონის იარაღები, მონეტები და სხვ. ნაშრომს თან ახლავს ბიბლიოგრაფია, გრაფიკული და ფოტოილუსტრაციები. ციხისძირის სამაროვანი, რომელიც გაითხარა 1983-1987 წლებში, მდებარეობს პეტრას ციტადელისა და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარის ჩრდილო-დასავლეთით, ზღვისპირა დაბლობზე, აკროპოლისიდან დაახლოებით 500 მ დაშორებით. იგი გავრცელებული უნდა ყოფილიყო სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, ძველი დიუნის გასწვრივ, თუმცა მისი სამხრეთი, ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი საზღვრები ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის.

1983-87 წლებში ციხისძირში შესწავლილი იქნა 315 სამარხი, რომელთა უდიდესი ნაწილი (305 სამარხი) ადრეანტიკური და ელინისტური ხანით თარიღდება. სამარხები განლაგებულია საკმაოდ კომპაქტურად ფართო ზოლის სახით სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. ძირითადად ორი ტიპის სამარხებია დადასტურებული: ინჰუმაციური ორმო-სამარხები და ამფორა-სამარხები, რომლებიც, ორმოსამარხების მსგავსად, ქვიშნარ გრუნტშია ჩაშვებული. დაფიქსირებულია მიცვალებულთა კრემაციის ორი შემთხვევა (ორთავე სამარხ ორმოშია შესრულებული) და რამდენიმე რიტუალური საადაპო მოედანი.

სამარხების დიდი ნაწილი შეიცავს სამარხეულ ინვენტარს, თუმცა გვხვდება უინვენტარო სამარხებიც. სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია: ადგილობრივი და იმპორტული (ბერძნული მოხატული და შავლაკიანი ჭურჭლები, ამფორები), კერამიკის, ლითონის სამკაულის (ყელსაბამები, საყურეები, სამაჯურები და ბეჭდები), მინისა და ქვის (მძივები და მძივსაკიდები), პოლიქრომული მინის ჭურჭლები, ტერაკოტული ფიგურები, ბრინჯაოსა და რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღი და „ქარონის ობოლის“ სახით კოლხური და სინოპური მონეტები.

სამარხეული ინვენტარის ანალიზის მიხედვით ციხისძირის სამაროვნის ადრეანტიკური და ელინისტური ხანის სამარხები ქრონოლოგიურად ძვ.წ. V საუკუნიდან ძვ.წ. II-I საუკუნეებს შორის თავსდება. მათგან თითქმის ნახევარი (295 სამარხი) მიეკუთვნება V-IV საუკუნეებს. ამავე პერიოდს განეკუთვნება ამფორა-სამარხების (სამარხებად გამოყენებულია სხვადასხვა ცენტრების: ქიოსი, მენდე, ჩრდილოეთი ეგეოსი, ლესბოსი ამფორები) ნაწილი, ასევე კრემაციული სამარხები საადაპო მოედნებით, რომლებიც შეიცავდა ატიკურ მოხატულ და შავლაკიან კერამიკას, ტერაკოტულ ფიგურებს და პოლიქრომიულ მინის ჭურჭლებს. მეორე დიდ ჯგუფს ქმნის ელინისტური ხანის სამარხები, რომლებშიც ნაკლებადაა წარმოდგენილი იმპორტული კერამიკა. ელინისტური ხანის სამარხები ძირითადად შეიცავს ადგილობრივ თიხის ჭურჭელს, ლითონისა და მინის მძივსაკაულს და კოლხურ მონეტებს.

დაკრძალვის წესების თავისებურებები და სამარხეული ინვენტარის ხასიათი მიუთითებს ბერძნული ეთნიკური ელემენტის არსებობასა და ბერძნული კულტურის გავლენაზე. კიდევ უფრო საგრძნობია ელინიზაციის პროცესი ელინისტურ ხანაში. ციხისძირის სამაროვანი, რომელიც ფიჭვნარის სამაროვნების სინქრონულია, ძალიან მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ბერძნული კოლონიზაციისა და კოლხურ-ბერძნული ურთიერთობების შესასწავლად.

ციხისძირის ადრეანტიკური-ელინისტური ხანის სამაროვნის ტერიტორიაზე გამოვლენილი იქნა ასევე რამდენიმე გვიანანტიკური ხანის სამარხი: სამი ინჰუმაციური და შვიდი ამფორა-სამარხი. გამოვლენილი მასალების (თიხისა და მინის ჭურჭელი, ლითონის და მინის სამკაული, რკინის საბრძოლო იარაღი) მიხედვით ეს სამარხები ახ.წ. IV-VI საუკუნეებს მიეკუთვნებიან, თუმცა შეიცავენ ახ.წ. II-III სს რომაულ მონეტებს.

| | | |
|--|------|----------------------------------|
| III ქვეთემა: შიდაციხის დარბაზული ეკლესია | 2019 | მაია ჭიჭილეიშვილი (შემსრულებელი) |
|--|------|----------------------------------|

ანოტაცია

ციხისძირის შიდაციხის დარბაზული ეკლესიის დღემდე არ გამხდარა ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის საგანი, ამიტომ ძეგლის დარჩენილი ფრაგმენტების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების გამოვლენის თვალსაზრისით. ნაშრომში განხილულია დარბაზული ეკლესიის არქიტექტურა, მხატვრულ-კონსტრუქციული თავისებურებები, ერთნავიანი ეკლესიების განვითარების ხაზი და ციხისძირის ეკლესიის მიმართება შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის სხვა ნიმუშებთან. დადგენილია ძეგლის აგების სავარაუდო თარიღი (IX-X საუკუნე). კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება ძეგლის ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის პრინციპს.

ერთნავიანი, დარბაზული ეკლესიის ტიპი ფართოდაა გავრცელებული შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში. მისი მშენებლობა ხელმისაწვდომი იყო ყველა სოციალური ფენისათვის. ცალნავიანი ეკლესიები მრავლად იყო წარმოდგენილი აჭარაშიც. აჭარისწყლის ხეობაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ძეგლების აბსოლუტური უმრავლესობა დარბაზულია (თიკანაური, საციხური – X-XI-სს-ის მიჯნა, სხალთის მცირე ეკლესია – X-XI სს-ის მიჯნა, ვერნები- XI ს., ვანაძეები- XII-XIII სს-ის მიჯნა, ხიხანის ციხის ეკლესია – XIII საუკუნის პირველი ნახევარი, სხალთის დიდი ეკლესია – XIII საუკუნე, კალოთა, ქურდული გელაური, ნამომასტრევი, სარფის ეკლესია - VIII-IX სს, სამების ეკლესია ბათუმის მიდამოებში, სოფელ სამების ეკლესია და სხვ.). არსებული მონაცემების გაანალიზებით დგინდება, რომ ერთნავიანი ეკლესიის ტიპი წარმოადგენდა ფართოდ გავრცელებულ საეკლესიო ნაგებობას აჭარის ზღვისპირა ზოლშიც.

ციხისძირის დარბაზული ეკლესია აგებულია ადრე არსებული სამნავიანი ბაზილიკის ნანაგრევებზე, მას შემდეგ, რაც პეტრას საეპისკოპოსო კათედრა კარგავს თავის ისტორიულ, საეკლესიო ცენტრის როლს რეგიონში. ეკლესია წარმოადგენდა მცირე ზომის ნაგებობას მომცრო ზომის დარბაზითა და ნალისებური ფორმისაკენ მიდრეკილი შვერილი აფსიდით. ეკლესიის სიგრძე კედლების სისქისა და აფსიდის გარეთა მოხაზულობის ჩათვლით 1,5 -ჯერ მეტია სიგანეზე. ანალოგიურია შიდა სივრცეში სიგრძე-სიგანის პროპორციული თანაფარდობა. სივრცის თავისებურებას წარმოადგენს დარბაზის ცენტრალურ ღერძზე განთავსებული ერთსაფეხურიანი პილასტრები, რომლებსაც ემყარებოდა კამარის საბჯენი ერთსაფეხურიანი თაღები. ინტერიერის მხრიდან ნალისებური ფორმის, დარბაზის კედლებიდან კუთხეებით გამოყოფილი ღრმა აფსიდი გარედან ნახევარწრიულ მოხაზულობისაა. გარედან დარბაზი გადახურული იქნებოდა ორქანობა, ხოლო ნახევარწრიული აფსიდი დამოუკიდებელი კონუსური ფორმის სახურავით. ეკლესიაში შესასვლელი გამართული იყო დასავლეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში.

აფსიდის ნახევარწრიული და შიგნით ნალისებური ფორმა ადრეული, აქ არსებული VI საუკუნის ბაზილიკის გადაწყვეტით უნდა იყოს ნაკარნახევი, თუმცა ბაზილიკის აფსიდის წახნაგოვანი ფორმისაგან განსხვავებით აქ ნახევარწრიული ფორმაა წარმოდგენილი, რაც ადრეული ეკლესიებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გამოვლინება უნდა იყოს. ადრეული ბაზილიკის რემინისცენციას უნდა წარმოადგენდეს აფსიდის კუთხეების აქცენტირება შიდა სივრცეში. ქართულ ხუროთმოძღვრებაში შვერილაფსიდიანი დარბაზული ეკლესიები ადრეული შუა საუკუნეებიდანვე დასტურდება (ბოდბე, მანხუტის ქვედა ეკლესია – V-VI სს-ის მიჯნა, დავით გარეჯის „აღდგომის“ ეკლესია, ველისპირის ეკლესია,

სარკინეთი, ქუსირეთი – VIII-IX საუკუნეები, ნესგუნი, ჩვაბიანი, ზემო კრიხი – X ს, მაცხვარიში – XII, ლიხაური, სხალთა – XIII ს და სხვ.), თუმცა უპირატესობა მაინც სწორკუთხა გარეთა კონტურის მქონე დარბაზულ ეკლესიებს ენიჭება, ტაძრის აღმოსავლეთი მხარის შვერილფსიდური ფორმით დაგაწყვეტა, უმთავრესად დამახასიათებელია ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებისათვის, რომელთაგან ფართო გავრცელებას პოვებს აფსიდთა წახნაგოვანი ფორმები, ნახევარწრიული შვერილები კი ძალზე იშვიათია. დარბაზულ ეკლესიას არ გააჩნია პასტოფორიები, სამნაწილიანი საკურთხევლის ფორმამ ვერ ჰპოვა ფართო გავრცელება დარბაზული ტიპის ეკლესიებში. ერთნავიან ტაძრებში პასტოფორიები ძირითადად X-XI საუკუნეებში დასტურდება.

ციხისძირის ერთნავიანი ეკლესიის საკურთხეველში სამი სარკმელი იქნებოდა გაჭრილი. ეკლესიის სამსარკმლიანი კომპოზიცია გარეთ გაზიდული აფსიდით უნდა იყოს განპირობებული, რადგან ტრადიციისამებრ, შვერილ აფსიდებზე სამი სარკმელია მოთავსებული (ვაჩნაძიანის ყველაწმინდა – VIII-IXსს, გელათი, ლურჯი მონასტერი – XII ს, ტიმოთესუბანი – XII-XIII სს, თბილისის მეტეხი, ხობი – XIII ს, ცაიში – XIII-XIV სს და სხვ.). სამი სარკმელია გაჭრილი გუდარების, სხალთის, ბოსლების სამების, ლიხაურის (XIII ს) ერთნავიანი ეკლესიების აფსიდებზეც, რაც ამ პერიოდის ნაგებობაში გუმბათოვანი ტაძრების მოტივთა შეჭრით უნდა იყოს გამოწვეული.

ციხისძირის დარბაზული ეკლესიის ისეთი თავისებურებები, როგორცაა შედარებით მაღალი პროპორციებისაკენ სწრაფვა, პილასტრებითა და საბჯენი თაღებით სივრცისა და გრძივი კედლების დაყოფა მონაკვეთებად, აფსიდის ნალისებური მოხაზულობა, პილასტრთა ერთსაფეხურიანი ფორმების გამოყენება წარმოაჩენს გარდამავალი ხანის (IX-X საუკუნეების) ქართული არქიტექტურის ნიშნებს. ძეგლის სახასიათო ნიშნები – შვერილი ნახევარწრიული აფსიდი, საკურთხევლის კუთხეების აღნიშვნა ავლენს საქართველოს ზღვისპირა ზოლის საეკლესიო არქიტექტურის ლოკალურ თავისებურებებს, რაც ადრინდელი სამნავიანი ბაზილიკის ტიპის, კონკრეტულად კი პეტრა-ციხისძირის ადრინდელი ნაგებობების ტრადიციათა გათვალისწინების შედეგი უნდა იყოს.

| | | |
|---|------|----------------------------------|
| IV ქვეთემა: სასანური მონეტების განძი ციხისძირიდან | 2019 | ირინე ვარშალომიძე (შემსრულებელი) |
|---|------|----------------------------------|

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია 2017 წელს ციხისძირის არქეოლოგიური შესწავლისას გამოვლენილი ვერცხლის მონეტების განძი. 95 ცალი სასანური დრაქმა. მოცემულია მონეტების აღწერილობა, დადგენილია ემისიის წლები, მოცემულია მეტროლოგიური და ტიპოლოგიური პარამეტრები. გაკეთებულია კატალოგი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. მონეტები მოჭრილია IV-VI საუკუნეებში ირანის შაჰების სახელებით. დადგენილია განძის დამარხვის დრო. მოძებნილია პარალელური მასალა საქართველოს სინქრონული ნუმიზმატიკური ძეგლებიდან. ახსნილია სასანური მონეტების ციხისძირში გამოვლენის მიზეზები. განხილულია ისტორიული ფონი, ირან-ბიზანტიის ბრძოლების პერიპეტეები და ეს დაკავშირებულია საკვლევ პუნქტთან. მონეტებთან ერთად ყურადღება დათმობილია თანმდევ არტეფაქტებზეც, კერძოდ, ირანელი მეომრის მუზარადასა და სამხედრო აღჭურვილობაზე. გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

1.2.

| № | დასრულებული პროექტის დასახელებამეცნიერების დარგისა დასამეცნიერომიმართულების მიითითებით | პროექტის დაწყების და დამთავრების წლები | პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მიითითებით) |
|-------------|--|--|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| დასრულებული | | | |

კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ გრცელი ანოტაცია
(ქართულ ენაზე)

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

| № | გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი | პროექტის დაწყების და დამთავრების წლები | პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით) |
|--|--|--|--|
| 1 | რა იგებს არჩევნებს საქართველოში | 2019-2021 | რუსლან ბარამიძე (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი) |
| <p>გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტი "რა იგებს არჩევნებს საქართველოში" ითვალისწინებს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ყველა საპრეზიდენტო არჩევნებში შედეგებით პირველი ორი კანდიდატის ყველა წინასაარჩევნო მიმართულების (პოლიტიკური დისკურსი), სხვა თანამდევი მასალების, პოსტსაარჩევნო აქტივობებისა და დაინტერესებული ჯგუფებზე ზემოქმედების პრაქტიკების შესწავლას.</p> <p>პროექტის ძირითადი ობიექტის - საარჩევნო ტექსტებისა და პრაქტიკების - კვლევა ძირითადად არსებული ტექსტების, პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროექტების ანალიზისა და ინტერვიუების მეშვეობით ხდება. თუმცა ყურადღება ასევე გამახვილდება სხვადასხვა კვლევებში ასახულ ცნობებსა და სტატისტიკურ მონაცემებზე. კერძოდ, პროექტის პერსონალის მიერ განხორციელდა საპრეზიდენტო გამოსვლებში ისტორიისა და რელიგიის თემების გამოყენების ანალიზი. შესაბამისი მოხსენება წაკითხული იყო საერთაშორისო კონფერენციაზე.</p> <p>საგრანტო პროექტი საარჩევნო პოლიტიკური დისკურსის და პოლიტიკური პრაქტიკების კვლევას არა მარტო საქართველოს პრეზიდენტების არჩევნების საფუძველზე გეგმავს, არამედ ითვალისწინებს სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებში არსებულ პრაქტიკებთანაც შედარებას. ამ მიზნით განხორციელდა სამუშაო შეხვედრები პროექტის უცხოელ კონსულტანტებთან ბერლინში. ამჟამად მიმდინარეობს შესაბამისი მასალების დამუშავება და თარგმნა.</p> | | | |
| 2 | ხარიტონ ახვლედიანის აჭარის მუზეუმში დაცული მონეტების კატალოგი (ჰუმანიტარული მეცნიერებები, ისტორია-არქეოლოგიის მიმართულება) FR 17- 504 | 20.12.1017-20.12.2020 | ირინე ვარშალომიძე (სამეცნიერო ხელმძღვანელი), ნინო ძნელაძე (კოორდინატორი) |
| <p>მესამე და მეოთხე საანგარიშო პერიოდში (2019 წელი) მონეტების შესწავლა დაიწყო ქართული ნუმისმატიკური ძეგლებით. ლიტერატურის დამუშავებისა და პარალელების მოძიების შემდეგ აღიწერა 47 საფასე, მათი შუბლისა და ზურგის მხარე, დადგინდა ემისიის წლები და ზარაფხანები. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მონეტების მიმოქცევა სიახლეა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსათვის. ქართული მონეტები მოჭრილია დემეტრე I-ის, გიორგი III-ის, თამარ მეფის, რუსუდან დედოფლის, ლაშა-გიორგის, ერეკლე II-ის სახელებით. ზოგიერთი მათგანი ნაპოვნია ციხისძირში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მეორე</p> | | | |

ამოცანა იყო აღმოსავლური მონეტების განსაზღვრა. აღწერა 20 ეგზემპლარის შუბლისა და ზურგის მხარე, დადგინდა ემისიის დრო და ადგილი. ესენია ქუფური დირჰემები (VIII-IX სს), სელჩუკური დრაჰემები (XIII ს) და მონღოლური (XIII ს) ფულის ნიშნები. მესამე ამოცანა იყო სტატიის მომზადება. მომზადდა სტატია „ხარიტონ ახვლედიანის აჭარის მუზეუმში დაცული ციხისძირის ნუმიზმატიკური მასალა“. სტატიაში განხილულია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტ ციხისძირში სხვადასხვა დროსა და გარემოებაში გამოვლენილი ნუმიზმატიკური მასალა, რომელიც აქამდე შეუსწავლელი და გამოუქვეყნებელი იყო. მასალის ქრონოლოგიური დიაპაზონი ფართოა - ძვ .წ.V საუკუნიდან XIX-საუკუნემდე. სტატიით სამეცნიერო მიმოქცევაში შევიტანთ ახალ ნუმიზმატიკურ მასალას, განვიხილავთ მონეტების საკვლევ ტერიტორიაზე გამოვლენის გზებს, მიზეზებს. მონეტები წარმოადგენს პირველხარისხოვან წყაროს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ცალკეული მონაკვეთების, პოლიტიკური მიმართულებების, სავაჭრო-ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესწავლისათვის. მეოთხე ამოცანა იყო ევროპული მონეტების შესწავლა. განვსაზღვრეთ 26 ევროპული მონეტა. აღვწერეთ შუბლისა და ზურგის ტიპები, დავადგინეთ ემისიის დრო და ზარაფხანები შესაბამისი ლიტერატურისა და პარალელური მასალის მოძიების შედეგად. შესწავლილი მონეტების უმრავლესობა არის ნიდერლანდური ლევენდაალდერები, შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი პოლონური ორტები, ავსტრიული ტალიარები, ვენეციური დუკატები. მეხუთე ამოცანა იყო მივლინება თურქეთის რესპუბლიკაში, ვიმუშავეთ სტამბოლის არქეოლოგიური მუზეუმის, თაქსიმის ათათურქის და ანკარის ბრიტანეთის დევიდ ფრენჩის სახელობის არქეოლოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკებში. დავამუშავეთ სპეციალური ლიტერატურა, პარალელების მიხედვით აღვწერეთ ის მონეტები, რომლებიც წინა საანგარიშო პერიოდებში ლიტერატურის არარსებობის გამო საქართველოში ვერ განვსაზღვრეთ. ესაა 40 მდე კლასიკური და ელინისტური ხანის უცხოური მონეტები.

| | | | |
|---|---|-----------|---|
| 3 | <p>ისტორიული ჭანეთის ცენტრალურ ნაწილში დაცული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (საფორტიფიკაციო ნაგებობები, ეკლესიები, საკომუნიკაციო და საყოფაცხოვრებო არქიტექტურის ნიმუშები); (ჰუმანიტარული მეცნიერებები, ისტორია-არქეოლოგიის მიმართულება) FR_217910</p> | 2016–2019 | სულხან მამულაძე (ძირითადი შემსრულებელი) |
|---|---|-----------|---|

მიმდინარე სამუშაო წელს, პროექტის ფარგლებში საბოლოოდ მომზადდა და გამოიცა მონოგრაფია. ამით ჭანური არქიტექტურის, ფოლკლორის, ტოპონიმისა და ეთნოლოგიის უცნობი თუ ნაკლებად ცნობილი მასალა შევიდა სამეცნიერო მიმოქცევაში; შესაძლებელი გახდა ჭანური სინამდვილის ქართული სამყაროს დანარჩენ ნაწილთან (განსაკუთრებით ტაო-კლარჯეთთან) მიმართების დადგენა; დამზადდა ნახევარსაათიანი დოკუმენტური ფილმი, სადაც საუბარია ცენტრალური ჭანეთის ყველა მნიშვნელოვან ძეგლზე; მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულდა მონოგრაფია: 230–გვერდიანი სამეცნიერო გამოკვლევით, ვრცელი ინგლისური რეზიუმით, ბიბლიოგრაფიით, 85 ფერადი ტაბულითა და კატალოგით. მონოგრაფიაში ყურადღებაა გამახვილებული ჭანეთის შესახებ არსებულ წერილობით წყაროებზე, არსებულ ისტორიოგრაფიულ შეხედულებებზე, განხილულია ისტორიული გეოგრაფიის, ეთნოლოგიის, არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ტოპონიმის და არქიტექტურის საკითხები. მატერიალური ძეგლებიდან უპირველეს ყოვლისა უნდა გამოვყოთ საფორტიფიკაციო ნაგებობები, ეკლესიები, საგზაო და საყოფაცხოვრებო არქიტექტურული ნაგებობები, რომელთა იდენტიფიცირება, აზომვა, გვემების, ჭრილების და სხვა

არქიტექტურული ნახაზების, თუ სიტუაციური რუკების დამზადება, ფოტო და ვიდეოფიქსაცია, GPS კოორდინატების მონაცემების რუკაზე დატანა განხორციელდა საბოლოოდ. დალაგდა შეგროვილი მასალა, რომელიც ინახება წამყვანი ორგანიზაციაში.

2.2.

| № | დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი | პროექტის დაწყების და დამთავრების წლები | პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მიხედვით) |
|---|--|--|---|
| 1 | ისტორიული ჭანეთის ცენტრალურ ნაწილში დაცული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულება. | 2016-2019 წ.წ. | ო. მემიშიში-ძირითადი პერსონალი, მკვლევარი |
| <p>ნაშრომში ტრაპიზონსა და გუმუშხანეში 2016-2018 წწ საველე მივლინებების დროს შეკრებილ მასალებზე, წერილობით და სხვა სახის წყაროებზე დაყრდნობით შესწავლილია ისტორიული ჭანეთის ცენტრალური ნაწილის საფორტიფიკაციო ნაგებობები, ეკლესიები, საგზაო და საყოფაცხოვრებო არქიტექტურის ნიმუშები, არქეოლოგიისა და ტოპონიმის ზოგიერთი საკითხი, ძველი გზები. გამოკვლევას თან ერთვის ვრცელი ინგლისურენოვანი რეზიუმე, მდიდარი საილუსტრაციო და გრაფიკული მასალა. ვფიქრობთ, წიგნი კარგ სამსახურს გაუწევს ისტორიკოსებს, არქეოლოგებს, ეთნოლოგებს, ხელოვნებათმცოდნეებს, ენათმეცნიერებს და ისტორიული ჭანეთით დაინტერესებულ მკითხველს.</p> | | | |
| 1 | Institution Centered Local Conflict Study, Volkswagen Foundation | 2015-2019 | რუსლან ბარამიძე / მკვლევარი |
| <p>პროექტი ითვალისწინებდა ლოკალური კონფლიქტების სხვადასხვა მაგალითის კვლევას კავკასიაში. პროექტის ფარგლებში მომზადდა რამდენიმე ნაშრომი და სახელმძღვანელო.</p> | | | |

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1.

| № | გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დაფინანსებული ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა | პროექტის დაწყების და დამთავრების წლები | პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მიხედვით) |
|---|---|--|---|
| 1 | Mediation: training and society transformation/ MEDIATS, 599010-EPP-1-2018-1-NL-EPPKA2-CBHE- | 2019-2021 | რუსლან ბარამიძე / მკვლევარი |

| | | | |
|---|--|------------|---|
| JPERASMUS | | | |
| პროექტი ითვალისწინებს მედიაციის სასწავლო პროგრამისა და მედიაციის სტრუქტურის შექმნას საქართველოში, უკრაინაში და აზერბაიჯანში. პროექტის ფარგლებში განხორციელდა სამუშაო შეხვედრები ბრედამი (ნიდერლანდები) და რიგამი (ლატვია). | | | |
| 1 | „ახალგაზრდული მეწარმეობის- თვის უმაღლეს სასწავლებ- ლებში“ ევროკომისია grant agreement no. 2018 2269\ 008 უკრაინა 02-19\78 | 2018- 2019 | მერაბ მეგრელიშვილი (მირითადი შემსრულებელი) |
| | „Gonio-Apsarus Polish-Georgian Joint Archaeological Expedition“ Warsaw University | 2017-2021 | Sulkhan Mamuladze / Principal Investigator |
| პროექტი ითვალისწინებს პოლონელი და ქართველი მკვლევარების ერთობლივი არქეოლოგიური კვლევა-ძიებითი სამუშაოების წარმოებას გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე. არქეოლოგიურ სამუშაოებთან ერთად, ხდება მოპოვებული მასალისა და მიღებული შედეგების ერთობლივი დამუშავება, ანალიზი და შემდგომ მათი, ასევე ერთობლივი, გამოცემა. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში ხდება ქართველი ახალგაზრდა მკვლევარების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო გადამზადება ვარშავის უნივერსიტეტის ბაზაზე. | | | |

3.2.

| № | დასრულებული (მრავალწლიანი)პროექტისდა სახელებამეცნიერებისდარგის ადასამეცნიერომიმართულები სმითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა | პროექტის დაწყების და დამთავრების წლები | პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით) |
|---|---|---|--|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| დასრულებული კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის მირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) | | | |

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

| № | ავტორი/ავტორები | მონოგრაფიის/წიგნის სათა | გამოცემის ადგილი, | გვერდების რაოდენობა |
|---|-----------------|-------------------------|-------------------|---------------------|
|---|-----------------|-------------------------|-------------------|---------------------|

| | | ური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN | გამომცემლობა | |
|---|---|--|--|---------|
| 1 | რ.მაღაყმაძე, ე.ფუტყარაძე, ნ.ჩელეზაძე, ი. თანდილავა | ზედა მაჭახელი, ISBN 978-9941-8-1507-2 | თბილისი, გამომცემლობა „კოლორი“ | 236 გვ. |
| <p>ნაშრომი წარმოადგენს სამხრეთ - დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული კუთხის - ზედა მაჭახლის კომპლექსური კვლევის ცდას. ზედა მაჭახელი ისტორიულად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამხრეთ - დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. ამჟამად ზედა მაჭახელი ჩამოშორებულია საქართველოს, იქაურთა მეტყველება კი- ქართულ სალიტერატურო ენას და მოქცეულია უცხო ენობრივ გარემოში, მაგრამ კუთხემ მაინც შეინარჩუნა ქართული სახე და ქართული ენა. ნაშრომი ამ კუთხის ისტორიულ - ეთნოლოგიურ და დიალექტოლოგიურ კვლევას წარმოადგენს. კერძოდ, განხილულია სოციალური და საოჯახო ყოფა, სამეურნეო ცხოვრება, კულტურის ცალკეული საკითხები. ასევე, შესწავლილია ზედა მაჭახელეთა მეტყველების თავისებურება. მოცემულია იქაურთა მეტყველების ფონეტიკურ-მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკოლოგიური დახასიათება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ნაშრომს ერთვის იქაურთა მეტყველების ნიმუშები და სალექსიკონო მასალა. ნაშრომის ღირებულების განმსაზღვრელია თანდართული ეთნოლოგიური ყოფის ამსახველი ფოტომასალა.</p> <p>ნაშრომს აქვს პრაქტიკული ღირებულებაც. ვფიქრობთ, წიგნი დახმარებას გაუწევს ისტორიკოსებს, არქეოლოგებს, ეთნოლოგებს, ხელოვნებათმცოდნეებს, ენათმეცნიერებს და საერთოდ, აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს.</p> | | | | |
| 2 | ნაილე მიქელაძე | ტოპონიმური თქმულება- გადმოცემები აჭარის ფოლკლორში, ISBN 978-9941-26-513-6 | თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“ | 250 გვ. |
| <p>წინამდებარე გამოკვლევა აჭარის ფოლკლორის თქმულება-გადმოცემათა ციკლის, ზოგადქართული სიტყვიერების სრული სურათის წარმოდგენას ისახავს მიზნად. ნაშრომში წარმოდგენილი თემა აქტუალურია, რამდენადაც კვლევა უკავშირდება ისტორიულ-რელიგიურ და წარმართულ კულტთან დაკავშირებულ თქმულება-გადმოცემებს აჭარაში. აქ ერთმანეთს ერწყმის სამი სამყარო-წარმართობა, ქრისტიანობა და ისლამი. ყურადსაღებია ის გარემოება, თუ ისტორიული ეპოქები, უცხოტომობრივი და რელიგიური გავლენები როგორ უცვლის სახეს ჩვენს ტოპონიმს, მაგრამ მაინც ვერ უკარგავს ეროვნულ ელფერს.</p> <p>ნაშრომი წარმოადგენს აჭარის ტოპონიმური თქმულება-გადმოცემების მონოგრაფიულად შესწავლის პირველ ცდას. მასში წარმოდგენილია პარალელები და ანალოგიები როგორც ზოგად ქართულ რწმენა-წარმოდგენებში, ასევე, სხვა ხალხთა ფოლკლორში. განხილული მონაცემები კუთხეთა შორის მიგრაციის დანახვის შესაძლებლობებსაც იძლევა.</p> <p>სახასიათაოა, რომ აჭარაში გვხვდება მრავალი ისეთი ტოპონიმი, რომელთა წარმოშობა ემყარება ხალხურ თქმულება-გადმოცემებს, ზღაპრებს, ლეგენდებს, მითებს და ა. შ. ამდენად, აჭარაში შემონახული თქმულებების, ლეგენდების შესწავლა აქტუალური პრობლემაა და მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ქართულ ფოლკლორისტიკაში.</p> | | | | |
| 3 | შ.მამულაძე, ა.კახიძე, თ.ფუტყარაძე ო. მემიშიში | ისტორიული ჭანეთის ცენტრალურ ნაწილში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, | თბილისი, გამომც.: გოლდენ პრინტ | 200 გვ. |

| | | | | |
|---|--|--|--|-----------------|
| | | ISBN 978-9941-8-1990-2 | | |
| <p>ნაშრომში ტრაპიზონსა და გუმუშხანეში 2016-2018 წწ საველე მივლინებების დროს შეკრებილ მასალებზე, წერილობით და სხვა სახის წყაროებზე დაყრდნობით შესწავლილია ისტორიული ჭანეთის ცენტრალური ნაწილის საფორტიფიკაციო ნაგებობები, ეკლესიები, საგზაო და საყოფაცხოვრებო არქიტექტურის ნიმუშები, არქეოლოგიისა და ტოპონიმის ზოგიერთი საკითხი, ძველი გზები. გამოკვლევას თან ერთვის ვრცელი ინგლისურენოვანი რეზიუმე, მდიდარი საილუსტრაციო და გრაფიკული მასალა. ვფიქრობთ, წიგნი კარგ სამსახურს გაუწევს ისტორიკოსებს, არქეოლოგებს, ეთნოლოგებს, ხელოვნებათმცოდნეებს, ენათმეცნიერებს და ისტორიული ჭანეთით დაინტერესებულ მკითხველს.</p> | | | | |
| 4 | <p>ნოდარ კახიძე როინ მალაყმაძე, ნაილა ჩელემაძე, ჯემალ ვარშალომიძე, რუსლან ბარამიძე თამილა ლომთათიძე ჯემალ მიქელაძე</p> | <p>მასალები აჭარის ყოფისა და კულტურის შესწავლი- სათვის, ტომი I მემინდვრეობა</p> | <p>ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა</p> | <p>იბეჭდება</p> |
| <p>ტომში წარმოდგენილია ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილების მიერ 1958-1990-იან წლებში აჭარაში (ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის, ქობულეთის რაიონები) შეკრებილი ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, რომლებიც ინსტიტუტის ფონდებში დაცულია საექსპედიციო დღიურების სახით. I ტომში შესულია მხოლოდ მემინდვრეობასთან დაკავშირებული მონაცემები (აჭარის ტრადიციული მეურნეობის სხვა დარგების შესახებ მონაცემები მომდევნო ტომებში აისახება). მასალები შეიცავს ცნობებს სავარგული მიწების ათვისების, მიწის დამუშავების, ტერასული სისტემის, მოსავლის აღება-დაბინავების, სამიწათმოქმედო იარაღების, მემინდვრეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ. ტომს ერთვის სამიუბლები და საილუსტრაციო მასალები.</p> | | | | |
| 5 | <p>ოთარ თურმანიძე</p> | <p>საბჭოთა რეჟიმი და მასობრივი რეპრესიები აჭარაში (1921-1952 წლები) ISBN 978-2941-462-94-8</p> | <p>ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</p> | <p>640 გვ.</p> |
| <p>მონოგრაფიაში შესწავლილია მასობრივი რეპრესიები აჭარაში 1921-1952 წლებში. დახასიათებულია საბჭოთა რეჟიმი და სადამსჯელო ინსტრუმენტები. განხილულია XX საუკუნის 20-იანი წლებისა და 30-იანი წლების პირველ ნახევარში აჭარაში განხორციელებული რეპრესიები, ნაჩვენებია ამ რეპრესიების ხასიათი და თავისებურებანი.</p> <p>მონოგრაფიაში დიფერენცირებულადაა შესწავლილი XX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევრის მასობრივი რეპრესიების არსი, მოტივაცია, მასშტაბი და თავისებურებანი. გაშუქებულია სახელმწიფო, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კადრების, ინტელიგენციის, სასულიერო პირების, სამეურნეო-საწარმოო მუშაკების, ხელისუფლებისათვის არასასურველი რიგითი ადამიანების რეპრესიები.</p> <p>ნაშრომში განხილულია 1941-1952 წლებში აჭარიდან მოსახლეობის დეპორტაციისა და პოლიტიკური რეპრესიების ისტორია. მოცემულია ომისშემდგომი პერიოდის რეპრესიების განმასხვავებელი ნიშნები XX საუკუნის 20-30-იანი წლების რეპრესიებისაგან. მონოგრაფიაში გაშუქებულია მოსახლეობაში, განსაკუთრებით რეპრესირებულთა შთამომავლების მეხსიერებაში რეპრესიების ასახვა და რეაბილიტაციის საკითხები.</p> | | | | |
| 6 | <p>ავტორ-შემდგენელი უჩა ოქროპირიძე,</p> | <p>ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ-</p> | <p>ბათუმი, გამომც. „ბათუმის</p> | <p>42 გვ.</p> |

| | | | | |
|--|---|--|---|--------------------------------------|
| | რედაქტორი როინ მალაყმაძე | თანამშრომელთა ხსოვნის წიგნი | შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | |
| <p>2018 წელს შესრულდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის (ყოფილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) დაარსებიდან 60 წლისთავი. ამავე წლის 5 მარტს, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, დადგინდა ამ საიუბილეო თარიღის აღსანიშნავი ღონისძიებანი, მათ შორის, ინსტიტუტის გარდაცვლილ მეცნიერ თანამშრომელთა ხსოვნის წიგნის შექმნა, რომლის იდეაც ეკუთვნოდა ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ემერიტუს პროფესორს ბიჭიკო დიასამიძეს.</p> <p>წიგნის შესადგენად შეიქმნა კომისია, რომელშიც შევიდნენ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის თანამშრომლები: უჩა ოქროპირიძე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (ხელმძღვანელი), ჯემალ მიქელაძე (მეცნიერი თანამშრომელი), ნანული ნოღაიძე (მეცნიერი თანამშრომელი), გივი ნახუცრიშვილი (სპეციალისტი), ლალი ტულუში (სპეციალისტი), ეთერ ხეცოიძე (საქმისმწარმოებელი), რომელთაც სათანადო სამუშაო გასწიეს წიგნის შესაქმნელად. ნაშრომის მომზადებაში, ასევე, თავიანთი წვლილი შეიტანეს ინსტიტუტის თანამშრომლებმა: ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსმა ნოდარ კახიძემ, ამავე განყოფილების მთავარმა მეცნიერმა თანამშრომელმა ჯემალ ვარშალომიძემ, მეცნიერ თანამშრომელმა კოტე ლლონტმა და ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელმა ციალა ნარაკიძემ.</p> <p>ხსოვნის წიგნის გამოცემა წარმოადგენს ბათუმის ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის თანამშრომელთა ღვაწლის დაფასებას და მათი ხსოვნის კიდევ ერთხელ წარმოჩენის ცდას.</p> | | | | |
| 7 | ნინო ინაიშვილი, ნინელი ვაშაკიძე | ციხისძირის სამაროვანი | ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | გადაცემულია დასაბეჭდად |
| <p>ნინო ინაიშვილის და ნინელი ვაშაკიძის ნაშრომი „ციხისძირის სამაროვანი“ მიზნად ისახავს უნიკალური არქეოლოგიური ძეგლის – ციხისძირის სამაროვნის აღმოჩენების ფართო სამეცნიერო მიმოკვლევაში შეტანას. ციხისძირის სამაროვანი წარმოადგენს უძვირფასეს საისტორიო წყაროს ადრეანტიკური და ელინისტური ხანის კოლხეთის ისტორიის, მათ შორის ბერძნული კოლონიზაციის პროცესების შესასწავლად, ხსენებული ეპოქის საზოგადოების სამეურნეო საქმიანობის, ყოფა-ცხოვრების, კულტურისა და რელიგიური რწმენა-წარმოდგენების რეკონსტრუქციისათვის.</p> <p>ნაშრომი სამაროვნის ზოგად დახასიათებასა და ისტორიულ დასკვნებთან ერთად მოიცავს კატალოგს, სადაც მოცემულია თითოეული სამარხეული კომპლექსის და მისი ინვენტარის დეტალური აღწერილობა. აღჭურვილია ბიბლიოგრაფიითა და ფოტო და გრაფიკული ილუსტრაციებით. ახლავს ვრცელი რეზიუმე ინგლისურ ენაზე. ნაშრომი „ციხისძირის სამაროვანი“ განკუთვნილია საუნივერსიტეტო, აკადემიური წრეებისა და სტუდენტებისთვის.</p> | | | | |
| 8 | გიორგი თავამაიშვილი | თამბაქო და გვიანი შუასაუკუნე- ბის ოსმალური თიხის ჩიბუხები | ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | 295 გვ. გადაცემულია დასაბეჭდად |
| <p>წარმოდგენილი ნაშრომის შექმნის იდეა ჩვენი ქვეყნის მატერიალური კულტურის ძეგლებზე აღმოჩენილი თამბაქოს მოსაწევი თიხის ჩიბუხების, უფრო კონკრეტულად, მათი აღმოსავლური (ე.წ. “</p> | | | | |

ოსმალური“) ვარიანტების წარმოჩენის სურვილით იყო განპირობებული. ოსმალური ჩიბუხები მრავლადაა აღმოჩენილი როგორც დღევანდელი თურქეთის, ასევე, ყოფილი ოსმალეთის იმპერიის გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნების ტერიტორიაზე. ამ ნაკეთობათა ათასობით ნიმუში ნაპოვნია საქართველოშიც, მეტწილად, სამხედრო-სტრატეგიული ობიექტების – ციხესიმაგრეების გათხრების დროს, სადაც კონკრეტულ პერიოდში ოსმალური ელემენტი იყო წარმოდგენილი, რეგლამენტირებული (სამხედრო სამსახური), მაგრამ ცხოვრების ტრადიციული წესის ნიშნებით. თამბაქოს მოსაწევი თიხის ჩიბუხები უდავოდ საინტერესო მასალას წარმოადგენს კონკრეტული ეპოქის და რეგიონის სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების რეკონსტრუქციისთვის.

მკვლევართა საერთო შეფასებით, თუ წარსულის აღდგენისთვის დასჭირდებათ არტეფაქტის შერჩევა, ეს უკანასკნელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად კრიტერიუმებს: უნდა იყოს იაფი, ხელმისაწვდომი და გამოყენებადი ყოველდღიურ ცხოვრებაში; არა უშავს, თუ იქნება ადვილად მტვრევადი; უნდა იყოს გამძლე გარე ნალექების ზემოქმედებისგან; უნდა იყოს დატანილი დამამზადებლის ნიშანი, ან სხვა რამ, რაც გაადვილებს დამზადების ადგილის ამოცნობას; უნდა ასახავდეს ფორმათა ცვლილებას დროში; სტილისტური თვალსაზრისით იძლეოდეს შესაძლებლობას – განისაზღვროს მომხმარებლის სტატუსი, ეთნიკური და პოლიტიკური კუთვნილება; უნდა იყოს ასახული ეპოქის მხატვრობაში, რაც გაადვილებს მათი გამოყენების სოციალური კონტექსტის გარკვევას. თამბაქოს მოსაწევი თიხის ჩიბუხები სრულად აკმაყოფილებენ ამ კრიტერიუმებს.

თიხის ჩიბუხებზე მუშაობის პროცესში მოვიძიეთ და გავეცანით თამბაქოს ისტორიასთან დაკავშირებულ საინტერესო ისტორიულ, ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალას, რომლის მეტ-ნაკლები სისრულით წარმოჩენა სასურველად და მიზანშეწონილად მივიჩნიეთ. შესაბამისად, გავაფართოეთ განსახილველ საკითხთა წრე, შევეცადეთ მკითხველისთვის უფრო პოპულარული ფორმით მიგვეწოდებინა ძველი და ახალი მასალა თამბაქოს აღმოჩენის, გავრცელებისა და მოხმარების ფორმების შესახებ. საკვლევი თემის შინაარსიდან გამომდინარე, ნაშრომში გამორჩეული ადგილი დავუთმეთ ჩიბუხებს: მიმოვიხილეთ გვიანი შუა საუკუნეების თამბაქოს მოსაწევი თიხის ჩიბუხების აღმოსავლური და ევროპული ვარიანტები, უფრო დაწვრილებით კი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნიმუშები. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ასეთი ფორმატის ნაშრომი უფრო საინტერესო იქნებოდა როგორც არქეოლოგებისთვის, ისე ისტორიული თემატიკით დაინტერესებული მკითხველისთვისაც. მითუმეტეს, რომ ქართულენოვან სამეცნიერო თუ პოპულარულ ლიტერატურაში პრაქტიკულად არ მოგვეპოვება შრომები თამბაქოს ისტორიის შესახებ. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ თამბაქოს მიმართ ინტერესი ცდება მისი, როგორც მცენარისადმი, ინტერესის საზღვრებს, ჩვენი ნაშრომით არსებული ხარვეზის ნაწილობრივ შევსებაც დავისახეთ მიზნად.

ამჯერად ჩვენს მიზანს არ შეადგენს აღმოსავლური ჩიბუხებისადმი ინტერესის განმსაზღვრელი ფაქტორების დეტალური კვლევა, თუმცა, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ აღმოსავლური ტიპის ჩიბუხები უდავოდ საინტერესო ნაკეთობებია და ვფიქრობთ, რომ მათი საფუძვლიანი შესწავლა ახლებურად მოჰფენს შუქს გვიანი შუასაუკუნეების ისტორიის ბევრ პრობლემურ საკითხს.

ჩვენი სურვილია მკითხველს მივაწოდოთ ახალი მასალა თამბაქოს კულტურის გავრცელების ისტორიის შესახებ. ვრცლად მიმოვიხილავთ ოსმალეთის იმპერიაში თამბაქოს გავრცელებისა და მოხმარების ამსახველ ეთნოგრაფიულ და დოკუმენტურ მასალას, რაც დაგვხმარება საქართველოს ტერიტორიაზე თამბაქოს მოსაწევი თიხის ჩიბუხების გამოჩენისა და გავრცელების დროსა და მასშტაბის სწორად გააზრებისთვის. ჩვენ ხაზს ვუსვამთ ამ პრობლემას, რადგან დღესაც ქართველ არქეოლოგთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა ჩვენს ქვეყანაში თამბაქოს გავრცელების საწყისს პერიოდთან დაკავშირებით, რაც აისახება კიდევ კონკრეტული არქეოლოგიური არტეფაქტების დათარიღების პროცესში. ნაშრომში გამორჩეული ადგილი დაეთმოა გონიო-აფსაროსის შიდაციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ჩიბუხებს, მათ ფორმებს, შემკულობასა და დათარიღების საკითხებს.

ვფიქრობთ, რომ ნაშრომი დაეხმარება უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის თურქეთის

| | | | | |
|--|--|--|-------------------------------|---------|
| <p>მცოდნეობის პროგრამის სტუდენტებს ბაკალავრიატის სასწავლო კურსების “თურქეთის ისტორია XVI-XVIII საუკუნის პირველ ნახევარში” და “თურქეთის ისტორია XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის 10-ან წლებამდე”, “მცირე აზიის ეთნოლოგია და კულტურა”, ისტორიის პროგრამის სასწავლო კურსის “ზოგადი არქეოლოგია”, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის “შავიზღვისპირეთისა და კავკასიის არქეოლოგიის” ათვისებაში.</p> | | | | |
| 9 | შოთა მამულაძე, ემზარ კახიძე, კახაბერ ქამადაძე, სულხან მამულაძე | ისტორიული ჭანეთის ცენტრალურ ნაწილში დაცული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ISBN 978-9941-8-1990-2 | თბილისი, გამომც. „ჯეო-პრინტი“ | გვ. 287 |
| <p>ნაშრომში ტრაპიზონსა და გუმუშხანეში 2016-2018 წწ სავლე მივლინებების დროს შეკრებილ მასალებზე, წერილობით და სხვა სახის წყაროებზე დაყრდნობით შესწავლილია ისტორიული ჭანეთის ცენტრალური ნაწილის საფორტიფიკაციო ნაგებობები, ეკლესიები, საგზაო და საყოფაცხოვრებო არქიტექტურის ნიმუშები, არქეოლოგიისა და ტოპონიმის ზოგიერთი საკითხი, ძველი გზები. გამოკვლევას თან ერთვის ვრცელი ინგლისურენოვანი რეზიუმე, მდიდარი საილუსტრაციო და გრაფიკული მასალა. ვფიქრობთ, წიგნი კარგ სამსახურს გაუწევს ისტორიკოსებს, არქეოლოგებს, ეთნოლოგებს, ხელოვნებათმცოდნეებს, ენათმეცნიერებს და ისტორიული ჭანეთით დაინტერესებულ მკითხველს.</p> | | | | |

4. 2. სახელმძღვანელოები

| № | ავტორი/ავტორები | სახელმძღვანელოს სახელი, ელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN | გამოცემისადგილი, გამომცემლობა | გვერდებისრაოდენობა |
|------------------------------|-----------------|--|-------------------------------|--------------------|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე) | | | | |

4.3. კრებულები

| № | ავტორი/ავტორები | კრებულის სახელი, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN | გამოცემისადგილი, გამომცემლობა | გვერდებისრაოდენობა |
|--|------------------|---|---|--------------------|
| 1 | ნანული ნოღაიდელი | „აჭარული საუნჯე“, ტ.V, ISBN978-9941-434-82-2 | ბათუმი, გამომცემლობა- „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | 605 გვ. იბეჭდება |
| <p>„აჭარული საუნჯე“ ტ.V შედგენილია ქობულეთის მუნიციპალიტეტში ჩაწერილი ფოლკლორული მასალების საფუძველზე. ძირითად ნაწილს შეადგენს ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორულ ფონდში 1960 წლიდან დაუნჯებული ზეპირსიტყვიერების ყველა ჟანრის მასალები. ასევე,</p> | | | | |

| | | | | |
|---|-------------------|--|---|---------|
| აქვეა შეტანილი მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩაწერილი ფოლკლორული ნიმუშებიც. კრებულს ერთვის შესავალი წერილი, საძიებლებისა და სიტყვების ახსნა. | | | | |
| 2 | ავტორთა კოლექტივი | „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), X; ISSN 1987-8745 | ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | 511 გვ. |
| <p>წიგნი წარმოადგენს 30 აპრილსა და 1 მაისს ჩატარებული. X საიუბილეო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ მასალათა კრებულს. იგი გამოიცა კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიის (იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი) და კანონიკური სამართლის შესწავლისა და კვლევის ცენტრის თანამონაწილეობით.</p> <p>ქართველ და უცხოელ (რუსეთი, ჩინეთი, ისრაელი, უკრაინა, სომხეთი) მეცნიერ-მკვლევართა ავტორობით წარმოდგენილ 40 ნაშრომში, ტრადიციულად, გაშუქებულია ქალაქ ბათუმის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, არქიტექტურის, ტოპონიმის, თანამედროვე ქალაქური ყოფისა და კულტურის, დემოგრაფიის, კონფესიური ვითარების, ტურიზმის განვითარებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.</p> <p>კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი: როინ მალაყმაძე (თავმჯდომარე), ბიჭიკო დიასამიძე (თანათავმჯდომარე), ოლეგ ჯიბაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), სულხან მამულაძე (პასუხისმგებელი მდივანი), შუშანა ფუტკარაძე, ნოდარ კახიძე, უჩა ოქროპირიძე, ოთარ თურმანიძე, ირმა ბაგრატიონი, ხათუნა დიასამიძე, აბესალომ ასლანიძე, ირინე ვარშალომიძე, მაია ჭიჭილეიშვილი, მერაბ მეგრელიშვილი, ნანა ხახუტაიშვილი</p> <p>კრებულის სარედაქციო კოლეგია: ბიჭიკო დიასამიძე (<i>მთავარი რედაქტორი</i>), ოლეგ ჯიბაშვილი (<i>პასუხისმგებელი რედაქტორი</i>), ირმა ბაგრატიონი, დევიდ ბრაუნდი (დიდი ბრიტანეთი), ხათუნა დიასამიძე, ნიკოლაი დურა (რუმინეთი), ირინა ვარშალომიძე, გიორგი თავამაიშვილი, ოთარ თურმანიძე, ნინო ინაიშვილი, ნოდარ კახიძე, თამილა ლომთათიძე, როინ მალაყმაძე, სულხან მამულაძე, მერაბ მეგრელიშვილი, როინ მეტრეველი (თბილისი), კატალინა მიტიტელუ (რუმინეთი), ავთანდილ ნიკოლეიშვილი (ქუთაისი), გელა საითიძე (თბილისი), უჩა ოქროპირიძე, შუშანა ფუტკარაძე, ელზა ფუტკარაძე, მაია ჭიჭილეიშვილი</p> | | | | |
| 3 | ავტორთა კოლექტივი | „ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), XI; ISSN 1987-5916 | ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | 448 გვ. |
| <p>წიგნი წარმოადგენს 8-9 ნოემბერს ჩატარებული, XI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ჩვენი სულიერების ბალავარი“ მასალათა კრებულს, რომელიც წელს მიემდგნა წმინდანად შერაცხულ ჩვენი კუთხის შვილს წმიდა დიაკონ სევერიანეს (ბერიძეს) – აჭარელ აღმსარებელს.</p> <p>კრებულში წარმოდგენილია საინტერესო მასალები ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის, რელიგიისა და კულტურის, ეროვნული ცნობიერებისა და ფასეულობების, კულტურათა დიალოგის, სწავლა-აღზრდისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. სულ დაიბეჭდა 38 სამეცნიერო სტატია, რომელთა ავტორები</p> | | | | |

არიან როგორც საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო ცენტრის, ისე უცხოეთის წარმომადგენლები (რუსეთი, უკრაინა, სომხეთი).

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:
როინ მალაყმაძე (თავმჯდომარე), ბიჭიკო დიასამიძე (თავმჯდომარის მოადგილე), ოლეგ ჯიბაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), სულხან მამულაძე, ელზა ფუტკარაძე, თამილა ლომთათიძე, უჩა ოქროპირიძე, ხათუნა დიასამიძე, ირმა ბაგრატიონი, აბესალომ ასლანიძე, ირინა ვარშალომიძე, ნანა ხახუტაიშვილი

კრებულის სარედაქციო კოლეგია: **ბიჭიკო დიასამიძე (მთავარი რედაქტორი), ოლეგ ჯიბაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ირმა ბაგრატიონი,** დევიდ ბრაუნდი (დიდი ბრიტანეთი), ხათუნა დიასამიძე, ნიკოლაი დურა (რუმინეთი), ირინა ვარშალომიძე, გიორგი თავამაიშვილი, ოთარ თურმანიძე, ნინო ინაიშვილი, ნოდარ კახიძე, სულხან კუპრაშვილი (ქუთაისი), თამილა ლომთათიძე, როინ მალაყმაძე, სულხან მამულაძე, მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, მერაბ მეგრელიშვილი, როინ მეტრეველი (თბილისი), კატალინა მიტიტელუ (რუმინეთი), ავთანდილ ნიკოლეიშვილი (ქუთაისი), გელა საითიძე (თბილისი), უჩა ოქროპირიძე, შუშანა ფუტკარაძე, ელზა ფუტკარაძე, მაია ჭიჭილეიშვილი

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

| № | ავტორი/ავტორები | სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI | ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი | გამოცემის ადგილი, გამომცემლობა | გვერდების რაოდენობა |
|-------------------------------|-----------------|--|---|--------------------------------|---------------------|
| 1 | | | | | |
| 2 | | | | | |
| 3 | | | | | |
| ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე) | | | | | |

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

| № | ავტორი/ავტორები | სტატიის სათაური, ISSN | ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი | გამოცემის ადგილი, გამომცემლობა | გვერდების რაოდენობა |
|---|-----------------|--|---|--|---------------------|
| 1 | ელზა ფუტკარაძე | ეთნოკულტუროლოგიური ასპექტები ლექსიკაში, ISSN 1987-5916 | „ჩვენი სულიერების ბალავარი“, XI | ბათუმი, გამომცემლობა-„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | 8 გვ. გვ. 303-310 |

ნაშრომში განხილულია ზოგიერთი ლექსიკური ერთეული ეთნოკულტუროლოგიური კუთხით აჭარული დიალექტის მასალის საფუძველზე. როგორც ცნობილია, ენა ეროვნული სულის გამოვლენა, ერის დამახასიათებელი უნიშვნელოვანესი ნიშანი, ერის დედაა. ენაში ასახულია ერის წარსული და შესაბამისად, ის ერის სამოსი, ერის სამზერო, ეროვნული სულის მარეალიზებელი მხარეა. ენა მჭიდრო კავშირშია ადამიანის ცნობიერებასა და აზროვნებასთან, კულტურასა და სულიერ ცხოვრებასთან. შესაბამისად, სიტყვები ღრმად გვახედებს ეროვნულ რეალიებში. ერის კულტურა,

სულიერი წყობა კარგად წარმოჩნდება ენის ლექსიკაში. ამ კუთხით ლექსიკურ ერთეულთა განხილვა მნიშვნელოვანი და აქტუალურია. ამ მიმართებითაა ნაშრომში განხილული ზოგიერთი ლექსიკური დიალექტიზმი: გადამქართულდა, ამონათვლა, ხატიმამული... ასეთ შემთხვევაში სიტყვა ზოგჯერ სალექსიკონო მნიშვნელობას კარგავს და განსხვავებული, დამატებითი შინაარსობრივი ნიუანსით იტვირთება. ამდენად, სიტყვა ეთნოკულტუროლოგიური ასპექტების მატარებელი ეროვნული ფორმაა.

| | | | | | |
|---|-----------------------------------|---|--|---|----------|
| 2 | ელზა ფუტკარაძე, შუშანა ფუტკარაძე, | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან მუჰაჯირად გადასახლებული ქართველების მეტყველების ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებანი, ISSN1512-4991 | ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XV, | ბათუმი, გამომცემლობა- „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | იბეჭდება |
|---|-----------------------------------|---|--|---|----------|

ნაშრომში საუბარია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან მუჰაჯირად გადასახლებული ქართველების მეტყველების ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებების შესახებ. კვლევის პრობლემებიდან გამომდინარე, ნაშრომში დეტალურად და სიღრმისეულადაა გაანალიზებული მუჰაჯირთა მეტყველებაში თავჩენილი ენობრივი თავისებურებანი. მსჯელობა ძირითადად ფონეტიკურ ნიუანსებსა და მეტყველების ნაწილების გამოყენებასთან დაკავშირებულ თავისებურებებზეა. ნაშრომში წარმოდგენილია წლების განმავლობაში მოძიებული მასალა მაჭახელსა და მუჰაჯირად გადასახლებულ მაჭახელთა მეტყველების უიშვიათესი ფორმებით. აღნიშნულ მასალაზე დაყრდნობით, მიჩნეულია, რომ მაჭახლური ქართული არის დამოუკიდებელი კილო. ის შედის კლარჯულ კილოთა ჯგუფში, ენობრივი ნიშნებით განსხვავდება მოსაზღვრე დიალექტებისაგან- იმერხეულისა და ნიგალურისაგან. სწორედ აღნიშნულის დადასტურებას წარმოადგენს ნაშრომი.

ნაშრომში წარმოდგენილი ენობრივ-გრამატიკული ფორმები საინტერესოა ენათმეცნიერთათვის, ლექსიკოლოგთათვის, დიალექტოლოგთათვის. წარმოდგენილი კვლევა იძლევა შედარება-შეპირისპირების საშუალებას სხვა დიალექტისა და სალიტერატურო ენის მონაცემებთან.

| | | | | | |
|---|----------------|---|--|--|---------------|
| 3 | ნაილე მიქელაძე | თამარ მეფის სახე „ჩვენებურთა“ ცნობიერებაში ISSN 1512-0953 | კრებული: „ქართველური მემკვიდრეობა, XXIII | ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. | 5 გვ. 166-170 |
|---|----------------|---|--|--|---------------|

ნაშრომში საუბარია თამარ მეფის სახელთან დაკავშირებულ თქმულება-გადმოცემებზე, რომლებიც ზოგად ქართული სიტყვიერი მასალების, წერილობითი წყაროების შედარება - ანალიზით იქნა განხილული.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ მხარეში, კერძოდ, ტაო-კლარჯეთში მოპოვებული ფოლკლორულ მასალების კვლევა-ძიება დღესაც უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება. მათ ცნობიერებაში თამარ მეფის სახე დღესაცაა შემორჩენილი, რაზეც მეტყველებს აქაურთა ფოლკლორში დაცული არაერთი ხალხური სიტყვიერების ნიმუში. გავრცელებულ თქმულებებში განსაკუთრებით იკვეთება მე-12 საუკუნის საქართველო და მისი წარსული.

ამდენად, ტაო-კლარჯეთში მოპოვებული ხალხური მარგალიტები საინტერესოა და ღირებულ სულიერ საგანძურს წარმოადგენს.

| | | | | | |
|--|-------|-----------|----------|----------------------|--|
| | ნაილე | ტოპონიმის | კრებული: | ბათუმი,გამომცემლობა- | |
|--|-------|-----------|----------|----------------------|--|

| | | | | | |
|---|-------------------------|---|--|---|----------------------|
| 4 | მიქელაძე | „ბარცხანა“ ეტიმოლოგიისათვის, ISSN 1987-8745 | „ბათუმი-წარსული და თანამედროვეობა“, XI. | „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | 8გვ. გვ. 266-273 |
| <p>ნაშრომში წარმოდგენილია ტოპონიმი „ბარცხანის“ გეოგრაფიული სახელთან დაკავშირებული ისტორიულ-ფოლკლორული მასალები. კერძოდ, კვლევა ეხება ბათუმის ერთ - ერთი უბნის სახელწოდებასთან დაკავშირებულ ისტორიასა და ხალხში არსებული ნიმუშების მეცნიერულ ანალიზს. ნაშრომში, წერილობითი წყაროების, ფოლკლორული მასალების საფუძველზე, განხილულია მეცნიერთა მიერ წლების განმავლობაში გაანალიზებული ესა თუ ის ჰიპოთეზა. ასევე წარმოდგენილია ჩვენეული ინტერპრეტირება მოცემულ საკითხთან მიმართებაში. რამეთუ მეცნიერთა ნაწილი ტოპონიმ „ბარცხანის“ გენეზისს უცხოენასთან კავშირში მოიაზრებს, ხოლო ნაწილი კი მეგრულ - ლაზურთან მიმართებაში განიხილავს. მაკრო და მიკრო ტოპონიმები, როგორც მისი წარმომქმნელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი განვითარების მუდმივი ენობრივი თანამგზავრი, მნიშვნელოვანი ინფორმაციულობით გამოირჩევა. მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ზეპირსიტყვიერ მასალათა შესწავლის საქმეში.</p> <p>ჩვენი კვლევა, სწორედ ერთ - ერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიურ ანალიზს შეეხება, რომელიც ფოლკლორული თვალსაზრისით იქნა წარმოდგენილი.</p> | | | | | |
| 5 | ნაილე მიქელაძე | რამდენიმე ტოპონიმის ფოლკლორული წყაროები,ISSN1987- 5916 | კრებული: „ჩვენი სულიერების ბალავარი“ XI. | ბათუმი, გამომცემლობა- „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | 7 გვ. გვ. 202-208 |
| <p>ნაშრომში საუბარია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის მხარის, ხულოს რაიონის სოფელ წაბლანაში შემორჩენილ ტოპონიმებზე: ნაჯვარევი, ნატამრალი, ნასაყდრალი... და მასთან დაკავშირებულ თქმულება-გადმოცემებზე. მოცემულ გეოგრაფიულ სახელთა ხალხური ეტიმოლოგია განხილულია კუთხის ისტორიულ წარსულთან მიმართებაში.</p> <p>ასევე განხილულია ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის არქივში დაცული მასალა, რომელშიც საუბარია ამ მხარეში დღემდე შემონახულ ტრადიციულ წეს-ჩვეულებებზე, რომელთა ერთი ნაწილი ნათელს ჰფენს ტოპონიმთა ეტიმოლოგიას.</p> <p>ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ტოპონიმთა მეცნიერული შესწავლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა ამა თუ იმ ტერიტორიაზე ოდესმე მოსახლე ხალხის სოციალურ-კულტურული ყოფის, ისტორიის, ხალხური სიტყვიერების გასაცნობად და ჩვენი საკვლევი თემაც სწორედ ეს იყო.</p> | | | | | |
| 6 | ნაწილი ნოლაიდე ლი | ქრისტიანული კულტურის ელემენტები ხატოვან თქმებში (აჭარული დიალექტის მასალების მიხედვით)“, ISSN 1987-5916 | „ჩვენი სულიერების ბალავარი“, XI | ბათუმი, გამომცემლობა- „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | 6გვ. გვ. 235-240 |
| <p>აჭარის ძირძველმა მოსახლეობამ თავის ყოფაში შემოინახა ტრადიციული აღმსარებლობის ბევრი ნიშანი. ქრისტიანული რელიგიისადმი დამოკიდებულებაზე მიგვანიშნებენ ხატოვანი თქმები:</p> | | | | | |

| | | | | | |
|---|-------------------------|--|--|--|----------------------|
| <p>“ღმერთი და შენ!“, „ღმრის ამონათვლა“, „ნეტაი, რა შავი სანთელი ვწირე?!“, „ეკლესია ხომ არ დამიწვავს?“ და სხვ. ნაშრომში განხილული ხატოვანი თქმებიდან ნათლად ჩანს, რომ მუხედავად მძიმე ისტორიული ვითარებისა, აჭარაში ყველაფერს ზოგადქართული ეროვნული საფუძვლები ქონდა, მაგრამ კუთხური ნიუანსებით აისახებოდა დიალექტში.</p> | | | | | |
| 7 | ნაწილი ნოღაიდუ ლი | მოტივაციის საკითხისათვის აჭარული დიალექტის ლექსიკაში ISSN 2298-0776 | „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია)“, IX | თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2019 | 6 გვ. გვ. 359-364 |
| <p>მოტივაცია ენაში სიტყვის პოლისემიურობას იწვევს. აჭარული დიალექტის დარგობრივ მასალებში შესულია ქართული ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის ბევრი ისეთი სიტყვა, რომელთაც, ძირეულ მნიშვნელობასთან ერთად, რომელიმე დარგთან თუ სოციალურ ყოფასთან დაკავშირებული ტერმინის მნიშვნელობა შეუძენიათ. დიალექტში მათი დამკვიდრება მოტივირებულია ძირითად ობიექტთან მსგავსებით ან მსგავსი დანიშნულებით გამოყენებით. მოტივაციის თვალსაზრისით ნაშრომში განხილულია ტერმინები: ჩიტები, კვირისთავი, ალაფი, ანდაზა, დიკა, ჭყურტი და სხვ.</p> | | | | | |
| 8 | ნაწილი ნოღაიდუ ლი | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი ს მოსახლეობის ლექსიკა, ISSN1512- 4991 | ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XV | ბათუმი, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ 2019 | (იბეჭდება) |
| <p>ნაშრომი დაწერილია დიალექტოლოგიურ ექსპედიციებში მოპოვებული ლექსიკური მასალების თუ პირადი ჩანაწერების საფუძველზე და მოიცავს სამეურნეო დარგების (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეზოტნეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, ხალხური სამზარეულო, რთვა-ქსოვა და სხვ.) თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ლექსიკას.</p> <p>განხილულია ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი საერთოქართველური, ზანური, ძველქართული თუ მხოლოდ კუთხისათვის დამახასიათებელი სიტყვა-ტერმინები, არქაული თუ ნასესხები ლექსიკური ერთეულები, ხატოვანი სიტყვა-თქმები.</p> <p>ნაშრომში განხილული ლექსიკური მასალა მცირე ნაწილია იმ მდიდარი ლექსიკისა, რაც ამ რეგიონში ფიქსირდება.</p> | | | | | |
| 9 | ციალა ნარაკიძე | შრომის ლექს- სიმღერები ლაზურში, ISSN 1512-0953 | „ქართველური მემკვიდრეობა“.ტ.XX III | ქუთაისი, გამომცემლობა უნივერსალი | 7გვ. გვ.171-177 |
| <p>ლაზურ ფოლკლორში შრომის ლექსი ერთ-ერთი ტრადიციული ჟანრია. ნაშრომში კარგად არის წარმოდგენილი ნადური და საზღვაო-სანაოსნო შრომის ლექს-სიმღერები, რომლებიც მრავალფეროვანი თემატიკითა და მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვან უბანს ქმნიან ლაზურ ზეპირსიტყვიერებაში. ინდივიდუალური შრომის ლექსები და სიმღერები ლაზური ფოლკლორისათვის უცხოა. ყოველი ტექსტი, რომელიც შრომის პროცესში სრულდებოდა, მხოლოდ ჯგუფურ კოლექტიურ სიმღერას წარმოადგენს. ყველაზე ტრადიციულია ლაზეთში ყანის სამუშაოებთან დაკავშირებული ნადი. ამის მიხედვით გვაქვს ნადური ანუ ყანური ლექს-სიმღერები.</p> <p>უძველეს შრომის სიმღერას განეკუთვნება ლაზური ხალხური სიმღერა „ჰეიამო“. ეს პოპულარული ნადური სიმღერაა. ლაზური ნადური სიმღერაა, აგრეთვე, „ჰეიანა“. მისი მელოდია ბევრად</p> | | | | | |

| | | | | | |
|---|-----------------------|--|---|---|---------------------|
| <p>განსხვავდება „ჰეიამოს“ მელოდიისაგან და არც უსიტყვო ფრაზებით არის წარმოდგენილი. ლაზური შრომის ლექს-სიმღერების თვალსაჩინო ნიმუშია მეთევზეობა-ნაოსნობის თემატიკის ამსახველი ტექსტები, რაც ლაზთა არქაული ტრადიციული შრომის ამ სახეობას უკავშირდება. ჩვენ მიერ ფიქსირებული ლექსები, რომლებიც მენავე-მეთევზეთა რთულ, მაგრამ ამავე დროს, მხიარულსა და საინტერესო ცხოვრებას ეხება, გვიჩვენებს გაშლილ ზღვაში ერთიანობასა და შრომაში, მეთევზეთა გვერდიგვერდ უღალატო ყოფნას. შრომის პოეზიის ამ სახეობაში მთელი სისრულით გამოვლინდა ლაზი ხალხის გულისთქმა, მიზანმიმართულობა, მსოფლმხედველობა და შრომისმოყვარეობა.</p> | | | | | |
| 10 | ციალა ნარაკი ე | დიდაქტიკურ- მორალისტური ხასიათის ანდაზები ლაზურ ფოლკლორში, ISSN 2298-0776 | სამხრეთ-დასავლეთ საქართველო(ისტორ ია, არქეოლოგია,ეთნოლ ოგია), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ტ.IX. | თბილისი, გამომც.: უნივერსალი | 4გვ. გვ. 369-372 |
| <p>ლაზურ ფოლკლორზე მუშაობისას დაგვიგროვდა მრავალი ანდაზა, რომლებშიც ლაზმა ხალხმა ჩააქსოვა თავისი სიბრძნე ცხოვრებისეულ საკითხებთან დაკავშირებით და ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად განზოგადება მოგვცა ისეთ მნიშვნელოვან თემებზე , როგორცაა: შრომა და სიზარმაცე, სამშობლოს სიყვარული, გაუტანლობა და შური, ერთგულება და პატიოსნება, მეგობრობა, ადამიანის ღირსება, ბოროტება და სიკეთე.</p> <p>ლაზურ ანდაზებში კარგად ჩანს ანდაზის დიდაქტიკურ-მორალისტური ფუნქცია და ის ჭეშმარიტი მნიშვნელობა, რაც ანდაზას ენიჭება ადამიანის აღზრდა-ფორმირების საქმეში.</p> <p>სიტყვის ძალასა და მნიშვნელობაზე აგებული ზოგიერთი ანდაზა ლაზურში, მაგრამ ამ ანდაზებშიც იგრძნობა ზნეობრივ-მორალური კოდექსი, რომელიც შემუშავებულია ჩვენი წინაპრების მიერ სამყაროზე, საზოგადოებაზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად.</p> | | | | | |
| 11 | ციალა ნარაკი ძე | ლაზური ფოლკლორი, ISSN1512-4991 | ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XV. | ბათუმი, გამომცემლობა- „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | იბეჭდება |
| <p>ლაზური ზეპირსიტყვიერი შემოქმედება ქართველ ტომთა ფოლკლორული საუნჯის ორგანული ნაწილია. ლაზური ენა უმწერლობა, და, ბუნებრივია, საუკუნეთა განმავლობაში ამ ენობრივ მასალაზე შეთხზული ყოველი ზეპირი თხზულება ფოლკლორული შემოქმედების კუთვნილებად რჩება.</p> <p>დღემდე შეკრებილი და გამოქვეყნებულია ლაზური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, რომელთა მოპოვების ადგილი , ძირითადად, სოფელი სარფია(ე.წ. „მოლენი სარფი“-გამოდმა სარფი).</p> <p>ლაზური ფოლკლორი ტრადიციულად წარმოდგენილია მდიდარი ხალხური პოეტური შემოქმედების თემატიკით: შრომის პოეზია, საწესჩვეულებო, საყოფაცხოვრებო, სატრფიალო ლექსები და შაირები, ზღაპრები, ასევე, მცირე ზომის ზეპირსიტყვიერი ნიმუშები: ანდაზები და გამოცანები.</p> | | | | | |
| 12 | ომარ მემიში ში | ზმნის პარადიგმატული სისტემა სარფულში | საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის არ რეგიონალური | ბათუმი. | იბეჭდება |

| | | | | | |
|--|----------------------|---|---|--------|----------|
| | | | სამეცნიერო ცენტრი, შრომები, V | | |
| <p>ზმნის ნაკვეთულთა სისტემა სარფულში ძირითადად მისდევს ხოფური კილოს ზმნური ფორმების წარმოებას, თუმცა გარკვეული თავისებურებები დაჩნდება უღვლილების მიმდინარეობის პროცესში. ზმნის ფორმების ანალიზისას გათვალისწინებულია ის მორფოლოგიური კანონზომიერებები და ცვლილებები, რაც ხდება პირის აფიქსებთან დაკავშირებით.</p> <p>ზმნის უღვლილების პარადიგმაში ფუძე შეიძლება ორი სახით იყოს წარმოდგენილი: მარტივი და რთული. მარტივი ფუძეები მეტყველებაში შედარებით მცირეა, ხოლო რთული ფუძეები თემატური სუფიქსებითაა რეალიზებული.</p> <p>მეტყველებაში სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვა დამოკიდებულია ზმნის გარდამავლობა-გარდაუვლობასა და დროზე. გარდამავალი ზმნის ქვემდებარე ყველა მწკვრივსა და სერიაში მოთხრობით ბრუნვაშია, პირდაპირი დამატება-სახელობითში. გარდაუვალი ზმნის სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვებია სახელობითი და მიცემითი.</p> | | | | | |
| 13 | ომარ მემიში ში | წარმოქმნილი სახელები სარფის მეტყველებაში | ბსუ ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი, ფილოლოგიური მაცნე, VI | ბათუმი | იბეჭდება |
| <p>სახელები ორ ჯგუფად იყოფა: ერთი მხრივ გვაქვს ძირეული ანუ პირველადი სახელები, მეორე მხრივ-მეორეული, ნაწარმოები, წარმოქმნილი სახელები.</p> <p>პირველად სახელებზე სიტყვაწარმოებული აფიქსების დართვით ვიღებთ ნაწარმოებ სახელებს. სარფის მეტყველებაში წარმოქმნილი სახელები დასტურდება სხვადასხვა ჯგუფებში: ქონების, უქონლობის, წარმომავლობის, დანიშნულების, წინაავიარების და მისთ. ჯგუფებში.</p> | | | | | |
| 14 | ომარ მემიში ში | ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები სარფულში-I | მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გორის სასწავლო უნივერსიტეტი | გორი | იბეჭდება |
| <p>ანოტაცია</p> <p>სარფის მეტყველებაში პირველადი და ძირეული ზმნიზედები წარმოდგენილია ორი ძირითადი ჯგუფით: 1) ზმნიზედებს, რომელთაც ძირეული მასალა საზიარო აქვთ თანდებულებთან და ზმნისწინებთან; 2) ხმოვანსართული ზმნიზედები. პირველადი ზმნიზედები შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, მეორე უფრო მრავალფეროვანია და იწარმოება სუფიქსებით, ბრუნვის ნიშნებით და კომპოზიციით.</p> <p>ზმნიზედების წარმოქმნილი ფორმები შეიცავს ძირეულ მორფემებს და მნიშვნელობის მცვლელ სიტყვაწარმოებულ აფიქსებს. ზმნიზედური ფუძეები წარმოდგენილია მიცემითი, მიმართულებითი და დაშორებითი ბრუნვის ფორმებით. ფუძის გაორკეცვით ძირითადად იწარმოება ადგილისა და დროის ზმნიზედები.</p> | | | | | |
| 15 | ომარ მემიში ში | ლაზურის შესწავლის ისტორიიდან | ბსუ საერთაშორისო სა- მეცნიერო კონფერენ- ცია-ბიზანტი- ნოლოგია საქართველოში – 5 | ბათუმი | იბეჭდება |

| | | | | | |
|---|------------------------------------|--|--|---|-------------------|
| <p>მოხსენებაში უწყებული მონოგრაფიები ასახავს ლაზური ფონეტიკა- ფონოლოგიის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხებს, მათ მიმართებებს სხვა ქართველურ ენებთან და დიალექტებთან. აღნიშნული შრომები საშუალებას იძლევა სრულად წარმოადგინოს ლაზურის გრამატიკული სტრუქტურა. გამოცემული ტექსტები, ჩაწერილი ჩვენში, ისე თურქეთის ლაზეთში, ნებისმიერი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკოლოგიური მოვლენის საფუძველია.</p> | | | | | |
| 16 | ომარ მეშიში | ზმნისწინთა სისტემა სარფის მეტყველებაში, ISSN 2449-2507 | საქ. მეცნ. ეროვნული აკადემიის აჭარის ა.რ. რეგიონალური სამეცნიერო ცენტრი, შრომები IV. | ბათუმი, საქართ. მეცნ.აკადემიის სტამბა | 8გვ. გვ.187-194 |
| <p>მეტყველებაში მარტივი ზმნისწინები განსაზღვრავენ ზმნურ ფორმას, გრამატიკულ კატეგორიას, ხოლო რთული ზმნისწინები უფრო ტიპოლოგიური მარკირებია, რომლებიც სივრცეში ქმედების თუ მდგომარეობის ლოკალიზაციას ახდენენ. სარფის მეტყველებაში ზმნისწინთა ხმოვნის ცვალებადობა ნაკლებ ვარიანტებს იძლევა, იდენტური ხმოვნები ერთ ხმოვნად შეირწყმიან, რამაც პალატალიზაცია გამოიწვია მთელი რიგი ბგერებისა და ბგერათვომპლექსთა იოტიზაცია, რასაც მოყვა დიფთონგის წარმოქმნა. ფონეტიკური პროცესების მხრივ მეტყველებაში ხდება პროგრესული და რეგრესული ასიმილაცია.</p> | | | | | |
| 17 | ნარგიზ ახვლედიანი, მარინე ფუთურიძე | უძველესი კოლხური ძეგლების ინტერდისციპლინური კვლევის ცდა და მისი პირველი შედეგები, ISSN 1987-8745 | კრებული „ბათუმი-წარსული და თანამედროვეობა“, X | ქ.ბათუმი, „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | 11გვ. გვ.348-358. |
| <p>ნაშრომის მთავარი იდეა არის საკვლევი ობიექტის წარმოჩენა და გაანალიზება ორი განსხვავებული თვალთახედვით: ენათმეცნიერებისა და არქეოლოგიის- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ამ ორ წამყვან დარგთა კვლევის ურთიერთკვეთის პრობლემატიკის გზაჯვარედინზე. ეს არის არქეოლოგიური ძეგლებისადმი ამგვარი დამოკიდებულების და მათი შესწავლის პირველი ცდა, მიმართული საკვლევი მასალის არა მხოლოდ არქეოლოგიური კონტექსტის გარკვევას, არამედ ამა თუ იმ კონკრეტული კომპლექსის ადგილმდებარეობის, ძველი ტოპონიმების გამოაშკარავებისა და დადგენისაკენ. კოლხეთის რეგიონის ზემოთგანხილული ძეგლები, გარდა არქეოლოგიურ არტეფაქტთა მრავალფეროვნებისა, ქრონოლოგიურად განსხვავებული პერიოდების პლასტებს მოიცავს. სახელწოდებათა მრავალშრიანი ლინგვისტური ანალიზისა და არქეოლოგიური კონტექსტის ინტერდისციპლინური კვლევის პირველი შედეგები განხილულია, ერთი მხრივ, მახვილწილის ნეოლითური ხანის ნამოსახლარის, ხოლო მეორე მხრივ, ამავე პუნქტში სხვა დროს გათხრილი სამარხული ძეგლების მაგალითზე, რომელთა ქრონოლოგიური დიაპაზონი ძველი წელთაღრიცხვის მეორე ნახევარია (გვიან ბრინჯაოს ხანა). ამ ძეგლის ტოპონიმიკური კვლევა-ძიების ერთ-ერთი მთავარი მიზანი - მნიშვნელოვანააგაუჩინარებული გეოგრაფიული სახელწოდებების ეტიმოლოგიაა, რაც საშუალებას გვაძლევს გარკვეულწილად წავიკითხოთ მოცემული რეგიონის მოსახლების წარსული.</p> | | | | | |
| 18 | ნარგიზ ახვლედიანი | ხელვაჩაურის მუნციპალიტეტის ტოპონიმია, ISSN 1512- | ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის | ქ.ბათუმი, „შოთა რუსთაველის სახელმწიფო | იბეჭდება |

| | | | | | |
|---|--------------|--|---|---|----------|
| | | 4991 | შრომები, ტომი XV | უნივერსიტეტი“ | |
| <p>გეოგრაფიულ ობიექტთა სახელწოდებებს ქმნის ხალხი და მათ საკუთარი მოთხოვნებისამებრ მოიხმარს კიდევ, მაგრამ საუკუნეების განმავლობაში მოსახლეობა შეიძლება ძველ ადგილ-საცხოვრის იცვლიდეს, ან სხვა ენობრივ კოლექტივში გაითქვიფოს. სწორედ ისტორიული ქარტხილებისა თუ ხალხთა დიდი და მცირე მიგრაციების შედეგია ის, რომ დღეს ჩვენ ვერ დავასახელებთ ვერც ერთ „სუფთა“ ენას, რომლის ტოპონიმიაც სხვადასხვა დროინდელ და სხვადასხვა ენობრივპლასტებს, დანაშრევებს არ შეიცავდეს.</p> <p>ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტოპონიმიაში მარტივი სახელები ძალიან მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი და ისიც, რაც წარმოდგენილია გამოხატავს ადგილ-მდებარეობის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებას(მაგ.: ცარა, ჭონჭყო...), შედარებით მეტადაა წარმოდგენილი დანიშნულების ო -პრეფიქსი (ასე, მაგ.: ოროკი, ოჭიკარტი, ოჯინჯი, ოხტომი და სხვ.). სუფიქსური წარმოებიდან ჭარბობს -„ეთ“ სუფიქსით გაფორმებული გეოგრაფიული სახელები (სინდიეთი, ჩხუტუნეთი, გომპარეთი, ქოქოლეთი, გვიანეთი, ხინკილეთი...). გვხვდება -„ურ“ სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმებიც (ასე მაგ.: მახინჯაური, მახვილაური, ხელვაჩაური, კვადაური...), „თი“, „იმ//ში“ - სუფიქსებით გაფორმებული ტოპონიმებია (მაგ.: ჭურიათი, კვარიათი, ქვაბიში, ტიბაში, კერკეტაში), პრეფიქს-სუფიქსური წარმოებიდან (მაგ.: ოჭვაბურა, ოხვამე, ოწვეთია, ონტოფო, ნაუჩვარი, ნაჯარგვალევი...). ასეთია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტოპონიმთა სტრუქტურულ-სემანტიკური სურათი.</p> | | | | | |
| 19 | ნოდარ კახიძე | დიმიტრი ბაქრაძე ბათუმისა და მისი შემოგარენის შესახებ | ბათუმი-წარსული და თანამედროვეობა, X. | ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 9 გვერდი |
| <p>ნაშრომში განხილულია ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და მოგზაური-მკვლევარის დიმიტრი ბაქრაძის ცნობები ბათუმისა და მისი შემოგარენის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაზე, ეთნიკურ შემადგენლობაზე, საცხოვრებელ და საკულტო ნაგებობებზე. დიმიტრი ბაქრაძის ცნობები სანდო და მნიშვნელოვანი წყაროა XIX საუკუნის ბათუმისა და მისი შემოგარენის ისტორიის შესწავლაში.</p> | | | | | |
| 20 | ნოდარ კახიძე | მეურნეობის ტრადიციული დარგები და სამეურნეო ყოფის საკითხები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში | ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XV | ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | იბეჭდება |
| <p>ნაშრომში, ეთნოგრაფიული საექსპედიციო მასალებისა და შესადარებელი ლიტერატურის მონაცემების საფუძველზე, შესწავლილია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებული მარცვლეული კულტურები (ფეტვი, ასლი, ღომი, ჭვავი, ქერი, პური), რომლებიც მოჰყავდათ სიმინდის კულტურის გაბატონებამდე (XIX საუკუნის მეორე ნახევარი) და სიმინდის კულტურის მოვლა-მოყვანის აგროტექნიკური ცოდნა-გამოცდილებანი. მაჭახლის ხეობაში ენდემური პურეულის - მახას გავრცელების მაგალითზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხეობა უნდა ჩაითვალოს ამ ენდემური პურეულის ლოკალურ კერად, რაც დღემდე ცნობილი არ იყო. ნაშრომში</p> | | | | | |

| | | | | | |
|---|--|--|---|---|-----------|
| დახასიათებულია მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციები, ვაზისა და ხეხილის ჯიშები, ყურძნისა და მეხილეობის პროდუქტების დამზადებისა და მოხმარების ტრადიციები, აგრეთვე, მესაქონლეობა და მეფუტკრეობა. მეურნეობის ამ დარგებთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები, შრომის იარაღები, წეს-ჩვეულებები, ტოპონიმიკური მონაცემები. | | | | | |
| 21 | როინ მალაყმაძე | მეურნეობის ტრადიციული დარგები და სამეურნეო ყოფის საკითხები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში | ისტორიანი | თბილისი გამომცემლობა „არტანუჯი“ | 11 გვერდი |
| სტატიაში მიმოხილულია უძველესი ტრადიციული წეს-ჩვეულებები ქალაქ არტანუჯსა და მის მიმდებარე სოფლებში. წარმოჩენილია ტრადიციების ტრანსფორმაცია და სიძველე. ძირითადად, ყურადღება გამახვილებული საახალწლო წეს-ჩვეულებებზე, დადასტურებულია, რომ ამ მხარეში შემორჩენილი საახალწლო წეს ჩვეულებები თავისი შინაარსით წარმართული ხანის რელიგიური-რიტუალურ ნიშნებით ხასიათდება და მსგავსებას ავლენს ბერიკაობა-ყენობის დღესასწაულთა. | | | | | |
| 22 | როინ მალაყმაძე | ლიგანის ხეობის საისტორიო გეოგრაფიისათვის. | მეისტორიე | თბილისი გამომცემლობა „არტანუჯი“ | 9 გვერდი |
| ნაშრომში ისტორიული წყაროებისა და სავლე ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით განხილულია ლიგანის ხეობის საისტორიო გეოგრაფიის საკითხები. გაანალიზებულია ხეობის სახელწოდება. თანმიმდევრულად წარმოდგენილია ხეობის საზღვრებისა და სახელწოდების ცვლილება. | | | | | |
| 23 | როინ მალაყმაძე თანავტორები: დ.ნიკოლეიშვილი დ. სართანია, მ. კვენეტაძე | ვაზის კულტურა მესხეთში ძველი თურქული დავთრების მიხედვით | აგრარული მეცნიერების შრომები. vol.17 N4, | file:///C:/Users/DALI/Downloads/8-5-PB.pdf | 9 გვერდი |
| გამოკვლევაში ვაზის კულტურის ისტორია ძველ მესხეთში თურქული დავთრების მიხედვით. მოცემულია ვაზის ტერიტორიული განაწილების თავისებურებანი, მათზე შეწერილი გადასახადები, გავრცელებული უძველესი ჯიშები. ასევე საუბარია მევენახეობის შემცირების მიზეზებზე. შედარებულია თურქულ დავთრებში მოცემული ვაზის ჯიშები უძველეს და რემდე მოდერულ ჯიშებთან. | | | | | |
| 24 | ჯემალ ვარშალომიძე | ტრადიციული საცხორებელი, სამეურნეო და საკულტო ნაგებობანი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში | ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XV | ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | იბეჭდება |

ნაშრომში შესწავლილია ხელვაჩაური მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტრადიციული სამშენებლო ხელოვნების ნიმუშები, საერო და საკულტო ნაგებობები. აქ გამოვლენილი საცხოვრებელი ნაგებობები ხასიათდება დასავლურ-ქართული სახლის ტიპით, რომელსაც გააჩნია ნიუანსური ვარიაციები და სრულად ამჟღავნებს სამეურნეო ყოფის თავისებურებებთან შესატყვისობას, პასუხობს საოჯახო ურთიერთობებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. დეკორის ტრადიციები ხასიათდება მკაფიო შემოქმედებითი აზროვნების ტენდენციებით. ჩანს სწრაფვა ქართული ხალხური ხელოვნების, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარებისაკენ. მუსლიმანური საკულტო ნაგებობების - ჯამეების სამშენებლო ხელოვნების თავისებურებები ადასტურებს საცხოვრებელ სახლებთან ტექნიკურ მსგავსება-სიახლოვეს, ხოლო ორნამენტაციის ფორმითა და შინაარსით ცხადყოფს ქართული სახვითი ხელოვნების შემოქმედებითი ტრადიციების გამძლეობას უცხოური ექსპანსიის პირობებში.

| | | | | | |
|----|------------------|--|---|-----------------------------------|----------|
| 25 | თამილა ლომთათიძე | ქართული ემიგრაცია მეოცე საუკუნის 50-იან წლებში მბულის ველთა დაცული დადიანის ლეების (ვით) | „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია, არქეოლოგია და ეთნოლოგია“, IX კონფერენციის მასალები | თბილისი გამომცემლობა „უნივერსალი“ | 8 გვერდი |
|----|------------------|--|---|-----------------------------------|----------|

მიმოხილულია სტამბულის ქართველთა სავანის არქივში დაცული, ქართული ემიგრაციის ღვაწლმოსილი წარმომადგენლის, ნინო ბეზიად წოდებული ნინო დადიანის წერილები, რომლებშიც მრავალი საინტერესო ასპექტითაა წარმოჩენილი არა მხოლოდ ამ ბრწყინვალე ქალბატონის ღვაწლი, არამედ XX საუკუნის ქართული ემიგრაციის მრავალი პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწე და დღემდე უცნობი, თუ ნაკლებად ცნობილი ისტორიული მოვლენა, ქართული ემიგრაციის საქმიანობა გასული საუკუნის 50-იან წლებში. ეს წერილები საინტერესო ცნობებს ინახავს ალექსანდრე მანველიშვილის მიერ 1954 წლის იანვარში პარიზში დაარსებული `საქართველოს ეროვნულ გამანთავისუფლებელი ლიგის` შესახებ.

| | | | | | |
|----|------------------|--|--------------------------------|----------------------------|-----------|
| 26 | თამილა ლომთათიძე | თურქეთის ქართველთა ეთნოვიზუალური ატლასის შექმნის პერსპექტივები | აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, II | თბილისი გამომცემლობა „დან“ | 19 გვერდი |
|----|------------------|--|--------------------------------|----------------------------|-----------|

ნაშრომში განხილულია თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების კულტურული მემკვიდრეობის აუდიოვიზუალური მონიტორინგის და მის საფუძველზე ეთნოვიზუალური ატლასის შექმნის პერსპექტივები, რადგან ამ მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია თურქეთის ქართველების ტრადიციული ყოფის ამსახველი ფაქტობრივი მასალის ფიქსაცია და გადმოცემა ისეთი სიზუსტით და სიღრმით, რისი მიღწევაც შეუძლებელია მონოგრაფიებით. ამდენად, ეს კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ერთ-ერთ პრიორიტეტული და თანამედროვე მიმართულებაა თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების ტრადიციული ყოფის ვიდეოდოკუმენტაციის საშუალებას იძლევა. თურქეთის ქართველების ეთნოვიზუალური ატლასის

შექმნის პერსპექტივები ნაშრომი განხილულია დევსქელის ხეობის მაგალითზე, რადგან ეს ხეობა და აქ მცხოვრები მოსახლეობა არ მოწყვეტია თავის ისტორიულ საცხოვრისს, შეინარჩუნა ფაქტიურად უმნიშვნელოდ ტრანსფორმირებული ეთნოკულტურული ელემენტები, წინაპართა ტრადიციები, მშობლიური ქართული ენა, ქართული თვითმყოფადი მატერიალური და სულიერი კულტურის ფასეულობანი, ეთნიკური თვითშეგნება და ეს ხეობა ერთგვარ „ქართულ ოაზისს“ წარმოადგენს თურქეთში.

| | | | | | |
|----|---------------------|--|--|--|----------|
| 27 | თამილა ლომთათიძე | ხელვაჩაურის მუნიციპა- ლიტეტის მოსახ- ლეობის სულიერი კულტურა | ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XV | ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | იბეჭდება |
|----|---------------------|--|--|--|----------|

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი გამორჩეული რეგიონია თავისი კულტურითა და ტრადიციებით. ნაშრომში შესწავლილია აქ დღემდე მოღწეული უძველესი ხალხური სამიწათმოქმედო კალენდარი, სულიერი კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი ელემენტი: რწმენა-წარმოდგენები, მაგიურ-რელიგიური რიტუალები და დღესასწაულები, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხის აგრარულ ყოფასთან.

ხელვაჩაური საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა სხვადასხვა ეთნოკულტურათა და რელიგიურ კონფესიათა შეხვედრისა და ურთიერთგავლენის სარბიელს. აქაურთა ყოფაში შემონახულია სამი რელიგიის: ქრისტიანობამდელი, ქრისტიანული და მუსლიმანური დანაშრევები. ამას დაერთო ისიც, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ეთნიკური სიჭრელითაც ხასიათდება. აქ სახლობენ ლაზები (სარფი), მუჰაჯირი აფხაზები და მათი შთამომავლები და თურქთაგან დევნილი ბერძნები. რელიგიურ რწმენათა და კულტურულ ფასეულობათა სიჭრელემ და სინთეზმა განაპირობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სულიერი კულტურის ისტორიული, რელიგიური და სხვა ლოკალური თავისებურებები. წინამდებარე ნაშრომში მოცემულია ამ თავისებურებების შესწავლის ცდა.

| | | | | | |
|----|----------------|---|---|--|----------|
| 28 | ნაილა ჩელებაძე | ბათუმის განაშენიანებისა და ადმინისტრაციუ ლ- ტერიტორიული მოწყობის ისტორიიდან (საარქივო მასალების მიხედვით) | ბათუმი-წარსული და თანამედროვეობა, X. | ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 5 გვერდი |
|----|----------------|---|---|--|----------|

აჭარის გასაბჭოების შემდეგ XX ს. 20-იანი წლებიდან საბჭოთა ხელისუფლება დიდი მონდომებით შეუდგა სახალხო მეურნეობის განმტკიცებას. ბათუმის დემოგრაფიული, რელიგიური ვითარების ცვლილება და ქალაქის სამეურნეო პროფილის ფორმირება სწრაფად მიმდინარეობდა. საარქივო მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ ბათუმის კეთილმოწყობისა და განაშენიანების მიზნით დაიგემა საზღვარგარეთიდან სპეციალისტების მოწვევა.

განსაკუთრებით დიდი ადგილი ეჭირა ბათუმის, როგორც ნავთობგადამამუშავებელი ქალაქის

სწრაფად განვითარებას, რამაც სტიმული მისცა უმუშევართა დიდი არმიის მოდინებას როგორც აჭარის სოფლებიდან, ისე სხვადასხვა ქალაქიდანაც.

აღნიშნული ღონისძიებების შედეგად 1926 წ. ბათუმისა და ჭოროხის მაზრების გაერთიანების საფუძველზე ქ. ბათუმის ტერიტორიული საზღვრები გაფართოვდა. ამ მიზნით ქ. ბათუმისა და მისი მაზრის აღმასკომისთვის მდინარე ყოროლისწყალსა და ყუბა-წყალს შუა მიწის ნაკვეთის გადაცემა მოხდა, ხოლო გონიოში გამოიყო სასაზღვრო მიწები. 1929 წ. დადგენილებით კვლავ გაგრძელდა ბათუმის საზღვრების გაფართოების პროცესი. მალევე გადაწყდა მდ. ჭოროხზე ხიდის აგების საკითხიც.

საბჭოური იდეოლოგიის საფუძველზე დაიწყო ქალაქის ქუჩების სახელწოდებათა შეცვლაც. საბჭოთა ხელისუფლებამ ბათუმის მაზრაში დაგეგმა აეროდრომების აგება ანგისასა და სტეფანოვკაში. მხარის თავდაცვისუნარიანობის მიზნით სხვა უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებთან ერთად 1923 წ. დღის წესრიგში დადგა ჰიპოდრომის მშენებლობის საკითხიც.

ბათუმის მაზრაში კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების შედეგად 1921 წელს გაიხსნა სამკითხველოები. 1930 წლისთვის ქ. ბათუმში თეატრი და ორი კინო ფუნქციონირებდა. ირკვევა, რომ ბათუმში ამავე პერიოდში ცალ-ცალკე მოქმედებდა ქალთა და მამაკაცთა კლუბები. საბჭოთა იდეოლოგიის პროპაგანდა აქტიურად მიმდინარეობდა ბათუმში მოქმედ ინტერკლუბშიც. აჭარის ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა მხარეთმცოდნეობითი ბიუროს დაარსებამ, რომელიც 4 სექციისაგან შედგებოდა.

1923 წლიდან საბჭოთა ხელისუფლების მიერ საეკლესიო ცხოვრებაში უხეში ჩარევის შედეგად დაიწყო ჯვრისწერის აკრძალვა და სამოქალაქო ქორწინების რეგისტრაციისათვის ბათუმში მმჩის ბიურო გაიხსნა.

| | | | | | |
|----|----------------|---|--------------------------------------|---|----------|
| 29 | ჯემალ მიქელაძე | აჭარის ხალხური ხუროთმოძღვრების ღირსშესანიშნავი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი | ბათუმი-წარსული და თანამედროვეობა, X. | ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 4 გვერდი |
|----|----------------|---|--------------------------------------|---|----------|

სამეცნიერო ნაშრომი ეხება წარმართული დროის საცხოვრებელ და რელიგიურ ნაგებობებსა, ქვებზე ადამიანის მიერ შესრულებულ ნაკაწრებს, რომლებიც მდებარეობს კურორტ გემუმში მდებარე „ყვერულის“ დასახლებაში. გაკეთებულია დასკვნები და გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ისტორიული შენობები ნამდვილად იმსახურებს ძეგლის სტატუსის მინიჭებას.

| | | | | | |
|----|---------------|--|---|---|----------|
| 30 | ნუგზარ ჩხაიძე | ქ. ბათუმის საჯარო სკოლების მასწავლებელთა მიერ საგანმანათლებლო პროცესის შეფასება (სოციოლოგიური ანალიზი) | ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XV | ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | იბეჭდება |
|----|---------------|--|---|---|----------|

ნაშრომში გაანალიზებულია ქალაქის პედაგოგთა სოციოლოგიური კვლევის შედეგები, მათი დამოკიდებულება სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებულ ისეთი საკითხებისადმი, როგორებიცაა: მასწავლებელთა შეხედულება თავიანთი პედაგოგიური სტატუსის და კვალიფიკაციის შესაბამისობის თაობაზე; დამოკიდებულება განათლების სისტემაში

დანერგულ ან განსახორციელებელ პედაგოგთა სერტიფიცირებასთან დაკავშირებულ ცალკეული პრობლემური საკითხებისადმი; მასწავლებელთა კატეგორიებად დაყოფის მიზანშეწონილობა; სკოლაში მანდატურთა სამსახურის საჭიროება; სახელმწიფოში სხვადასხვა დროს განხორციელებული საგანმანათლებლო რეფორმების დადებითი და უარყოფითი მხარეები; მასწავლებელთა ტესტირებისა და ტრენინგების ზოგიერთი ნაკლოვანებები; სკოლაში შემოღებულ მოსწავლეთა 12 წლიანი სწავლების ცალკეული ნეგატიური ასპექტები; სკოლაში მოსწავლეთა დისციპლინის არსებული დონე და მათთვის მინიჭებული უფლებების შეფასება მასწავლებელთა მხრიდან; ძალადობა მოსწავლეთა შორის; სასკოლო სახელმძღვანელოების ხარისხი და მათი ხშირი ცვლის არასახარბიელო შედეგები, როგორც პედაგოგების, ასევე მოსწავლეებისათვის, სასწავლო საგნობრივი პროგრამების აკვარაგანობა; მოსწავლეთა გაკვეთილებზე სწრებადობის დონე; მაღალ კლასებში სასკოლო გამოცდების საჭიროება; სკოლის დაფინანსების ვაუჩერული მეთოდის ნაკლოვანი მხარეები; სკოლაში მასწავლებელთა მუშაობის დამაბულობის დონე; ქართულ სკოლებში ეროვნული ფასეულობების დანერგვის და პროპაგანდის არსებული მდგომარეობა; სკოლებში მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის ოდენობა; მოსწავლეთა მშობლების აქტიურობის ხარისხი სასკოლო ცხოვრებასთან მიმართებაში და მათი დამოკიდებულება პედაგოგებთან; ბავშვების სკოლაში მიღების ექსტერიტორიალური პრინციპი; მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟულობა; საქართველოს სასკოლო განათლების სისტემაში განხორციელებული და მიმდინარე ექსპერიმენტების ნეგატიური და პოზიტიური ასპექტები; ბათუმში გახსნილი ისლამური სასწავლებლების მიზანშეწონილობა; სასწავლო პროგრამების გადატვირთულობის დონე; სასერტიფიკაციო გამოცდების გზით პედაგოგიური კატეგორიის ამალღების სურვილი; სასკოლო გამოსაშვები გამოცდების დროს მოსწავლეთა ნაწილის მხრიდან მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადაულახაობის მიზეზები; მაღალი ხარისხის ცოდნის მისაღებად რეპეტიტორთა დახმარების საჭიროება; ქართულ სკოლებში მოსწავლეთა სქესობრივი განათლების შემოღების მცდელობა; პედაგოგთა შრომის ანაზღაურება, როგორც სამსახურით კმაყოფილების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი და ა.შ.

ქ. ბათუმის საჯარო სკოლების მასწავლებლების სოციოლოგიურმა გამოკითხვამ გამოავლინა ის რეალური მწვავე პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია მათ პედაგოგიურ საქმიანობასთან. მიღებული ემპირიული მასალის სოციოლოგიური ანალიზის საფუძველზე, შემუშავდა იმ ღონისძიებათა ნუსხა, რომელთა პრაქტიკაში დანერგვა ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის ამალღებას საჯარო სკოლებში.

| | | | | | |
|----|--|---|--|---|-------------|
| 31 | ოლეგ ჯიბაშვილი ირაკლი ბარამიძე ხათუნა დიასამიძე | ტრაპიზონში ბრიტანეთის ვიცე- კონსულის ჯეიმს ბრანტის ცნობები ბათუმის შესახებ; ISSN 1987-8745 | „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), X, | ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთავე- ლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | გვ. 422-434 |
|----|--|---|--|---|-------------|

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, საგრძნობლად გაიზარდა ბათუმის, როგორც საზღვაო პორტისა და ორ იმპერიას შორის მდებარე სასაზღვრო ქალაქის როლი. შესაბამისად, გაიზარდა ბათუმისადმი ინტერესი, როგორც რუსეთის იმპერიის, ისე ოსმალეთის ზურგს უკან მდგომი დიდი ევროპული სახელმწიფოების მხრიდან. სწორედ ინტერესთა ამ ჭიდილმა შესძინა ბათუმს განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ბრიტანეთის ვიცე-კონსული ტრაპიზონში ჯეიმს ბრანტი თავის ანგარიშებში საინტერესოდ

| | | | | | |
|--|----------------|--|--|---|-------------|
| <p>აღწერს ბათუმს და იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას 1830-იან წლებში აქ არსებული ვითარების შესახებ.</p> <p>ბრანტის ანგარიშები განხილულია რუსეთ-ოსმალეთ-ინგლისის დაპირისპირებისა და რეგიონში მიმდინარე სხვა პროცესების ფონზე.</p> | | | | | |
| 32 | ოლეგ ჯიბაშვილი | საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ისტორიიდან; ISBN 978-9941-487-19-4 | მეისტორიე (სამეცნიერო კრებული, მიმდინარე პროფესორ გელა (გიორგი) საითიმის დაბადების 80 წლისთავისადმი) | თბილისი, გამომც. „არტანუჯი“ | გვ. 101-107 |
| <p>XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში რუსეთის საიმპერატორო კარზე მომწიფდა სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრების საკითხი. ამ მიმართულებით გააქტიურების შედეგად, 1783 წლის 24 ივლისს რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დაიდო გეორგიევსკის ტრაქტატი. საქართველო რუსეთის გავლენის სფეროში მოექცა.</p> <p>ნაშრომში ნაჩვენებია, რომ მოვლენების განვითარების კვალობაზე უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა თერგ-არაგვის გზამ (საქართველოს სამხედრო გზა), როგორც ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის დამაკავშირებელმა უმთავრესმა არტერიამ. რუსული მხარე სრული კონტროლის დაწესებას ცდილობდა მასზე. ამ მოსაზრებით იგი არა თუ კონკურენტად მოაზრებული ევროპელების, თვით ქართლ-კახეთის სამეფო კარის საქმიანობასაც ზღუდავდა ამ რაიონში. ეს ტენდენცია ჯერ კიდევ გეორგიევსკის ტრაქტატამდე გახდა თვალშისაცემი.</p> <p>სათანადო წყაროების შეჯერება-ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულია, რომ თერგ-არაგვის გზაზე სრული კონტროლის დაწესებას რუსეთი პოლიტიკური ქორწინების საშუალებითაც შეეცადა. კერძოდ, 1785 წელს ქართლ-კახეთის ელჩის, გარსევან ჭავჭავაძის პირით გაახმოვანა გრიგოლ პოტიომკინისა და ერეკლე მეფის ასულის – ანასტასიას შეუღლების იდეა. ქორწინების შედეგად პოტიომკინს (ანუ რუსეთს) მზითვეის სახით ხევი და საარაგვო უნდა გადასცემოდა. ეს იყო ქართლ-კახეთში შემოსასვლელი დერეფნის ხელში ჩაგდების აშკარა მცდელობა, რაც იმ ხანებში რუსულმა მხარემ ვერ განახორციელა.</p> | | | | | |
| 33 | ოლეგ ჯიბაშვილი | ზაქარია ჭიჭინაძე მხითარისტა საგანმანათლებლო პოლიტიკის შესახებ; ISSN 1987-5916 | „ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), X | ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | გვ. 435-448 |
| <p>ნაშრომში საუბარია ქართველი საზოგადო მოღვაწის – ზაქარია ჭიჭინაძის ერთ-ერთი საგაზეთო წერილის შესახებ. ზ. ჭიჭინაძე წერილში ფარდას ხდის მხითარისტი კათოლიკე სომხების საგანმანათლებლო პოლიტიკის ანტიქართულ ხასიათს. მხითარისტები უფასო განათლების მიცემის დაპირებით წმ. ლაზარეს კუნძულზე არსებულ სომხურ სასულიერო სასწავლებელში იზიდავდნენ ქართველი კათოლიკეების ბავშვებს.</p> <p>მოჩვენებითი ქველმოქმედების უკან შორსმიმავალი მიზნები იმალებოდა. სასწავლებელში ქართველ ბავშვებს სომხურ ენაზე აძლევდნენ განათლებას, უტარებდნენ იდეოლოგიურ დამუშავებას და ზრდიდნენ მათგან სომხური იდენტობის მქონე კათოლიკე მღვდლებს. ასეთი ცნობიერება შეცვლილი მღვდლები ქართველ მრევლთან დაბრუნების შემდეგ ახდენდნენ მათ გადაყვანას სომხურენოვან ღვთისმსახურებაზე, რითაც ხელს უწყობდნენ ქართული ენის გაქრობას და კათოლიკე ქართველების გასომხებას.</p> | | | | | |
| 34 | ოთარ თურმანიძე | გლებთა კომიტეტები აჭარაში | საქართველოს მეცნიერებათა | ბათუმი, გამომც. „ბათუმის | გვ. 60-70 |

| | | | | | |
|--|----------------|--|---|---|-------------|
| | | (1921-1923) ISSN 2449-2507 | ეროვნული აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეროვნული ცენტრი, IV | შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | |
| <p>სტატიაში განხილულია აჭარაში გლეხთა კომიტეტების შექმნის მოტივაცია, მისი შემადგენლობა და საქმიანობა. აღნიშნულია, რომ გლეხთა კომიტეტები შეიქმნა „სამუსლიმანო საქართველოს“ მეჯლისის წინააღმდეგ, რომელსაც მემედ აბაშიძე ხელმძღვანელობდა. გლეხთა კომიტეტის მთავარი მიზანი იყო მეჯლისის დისკრედიტაცია, მოსახლეობაში მისი გავლენის შესუსტება, საბოლოოდ კი კომუნისტური ხელისუფლების განმტკიცება-გაძლიერება. პირველწყაროებზე დაყრდნობით გაშუქებულია გლეხთა კომიტეტის დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადებითია მისი საქმიანობა კომუნისტური რეჟიმის ძალმომრეობის წინააღმდეგ, ადგილობრივ ახალგაზრდების მოზიდვა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში. მისი უარყოფითი მხარეა კომუნისტური ხელისუფლებისადმი მხარდაჭერა კლასობრივი პოლიტიკის გატარების საქმეში, რაც გამოიხატა საზოგადოების „გახლეჩაში“, მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის დაპირისპირებასა და სიძულვილის გაღრმავებაში.</p> <p>სტატიაში აღნიშნულია გლეხთა კომიტეტის როლის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების ჩამოყალიბებაში. პირველ რიგში საბჭოების არჩევნების მომზადებისა და მმართველობის ორგანოების ჩამოყალიბებაში. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების ჩამოყალიბების შემდეგ გლეხთა კომიტეტმა ამოწურა თავისი ფუნქციები. იგი გაუქმდა 1923 წელს. მისი აპარატის ნაწილი სახელმწიფო ორგანოებში გადავიდა.</p> | | | | | |
| 35 | უჩა ოქროპირიძე | პარალელური აზრები – ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის უნივერსალური მსაზღვრელებისათვის ISBN 978-9941-487-19-4 | მეისტორიე (სამეცნიერო კრებული, მიმდევნილი პროფესორ გელა (გიორგი) საითიძის დაბადების 80 წლისთავისადმი) | თბილისი, გამომც. „არტანუჯი“ | გვ. 425-436 |
| 36 | უჩა ოქროპირიძე | ბათუმი 9 აპრილიდან 9 აპრილამდე ISSN 1987-8745 | „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), X, | ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | გვ. 296-305 |
| <p>მოხსენებაში ასახულია ბათუმში მიმდინარე მოვლენები 1989 წლის 9 აპრილიდან 1991 წლის 9 აპრილამდე, ანუ თბილისში 1989 წელს დატრიალებული ტრაგედიიდან 1991 წლის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებამდე 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე. განხილულია ამ ორ ისტორიულ თარიღს შორის ბათუმში მიმდინარე, ეროვნული მოძრაობის განვითარების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი მოვლენები და მათთან დაკავშირებით ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ გამოვლენილი პოზიციები, მათი უმრავლესობის შეუპოვარი ბრძოლა ეროვნული იდეალების გასამარჯვებლად აჭარის რეგიონში.</p> <p>ნაშრომში მხილებულია ფსევდოპატრიოტული სამოსლით შენიღბული საკავშირო და</p> | | | | | |

ადგილობრივი ძალების ანტიეროვნული საქმიანობა, ასახულია მათთან ინფორმაციის ყველა საშუალებით ქართული ეროვნული მოძრაობის აჭარის წარმომადგენელთა მიერ წარმოებული უმდავებელი ბრძოლა და გაკეთებულია სათანადო დასკვნები.

| | | | | | |
|----|----------------|--|---|--|-------------|
| 37 | უჩა ოქროპირიძე | ქართული ასომთავრული, საკრალური პოეზია, ნაწილი III ISSN 1987-5916 | „ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), XI, | ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | გვ. 241-250 |
|----|----------------|--|---|--|-------------|

ნაშრომი წარმოადგენს ავტორის მიერ 2016 წელს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე – „ჩვენი სულიერების ბალავარი“ – გაკეთებული მოხსენების, „ქართული ასომთავრული, საკრალური პოეზია“ – გაგრძელებას. მასში მოცემულია ქართულ ენასა და მის დამწერლობაში შეფარული, საკრალური მნიშვნელობების გახსნის და ცნობილი ქართველი ეზოთერიკისა და მკვლევარის გივი ალაზნისპირელის ზოგიერთი მოსაზრების ახსნის ცდა. სტატიაში გახსნილია ისეთი საყოველთაოდ ცნობილი ქართული სიტყვა-ცნებების, ეთნიკურ-ტომობრივი გაერთიანებების, თუ ადგილთა სახელების, როგორცაა – ღმერთი, ცხოვნება, ცხოვნდა, წყალი, მიწა, ცოცხალი, იბერი, ლაზი, ნუნისი და სხვათა, ეზოთერიკული ჰემატრია, რამაც, შეიძლება ითქვას, კიდევ ერთხელ დაამტკიცა ჩვენს მიერ შექმნილი **დაიცეც(უ)ი** სისტემისა, თუ ამავე მიმართულებით წარმოებული კვლევების პერსპექტიულობა.

| | | | | | |
|----|----------------|--|--|--|-------------|
| 38 | უჩა ოქროპირიძე | ქართული პრობლემები ქართველ ემიგრანტთა ნააზრევში ISSN 2298-0776 | „სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია)“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), IX | ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | გვ. 190-203 |
|----|----------------|--|--|--|-------------|

ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია საქართველოდან უცხოეთში გადახვეწილ ემიგრანტთა მიერ გამოცემულ სტატიებსა და წიგნებში ქართული სახელმწიფოებრიობასა და მის პრობლემებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. იგი ძირითადად ეყრდნობა 1937 წელს პარიზში გამოცემული „ეროვნული გაერთიანების“, ცნობილი ემიგრანტი ეროვნული მოღვაწეების - ვ. ნოზაძის, ი. მანწკავას, ა. ასათიანის (ქართულ ენაზე), ნ. ჟორდანიას, გ. გვაზავას, შ. ოდიშარიას (ფრანგულ ენაზე), გამოცემულ წიგნებსა და პუბლიკაციებს, აგრეთვე პარიზში, ვაშინგტონსა და თბილისში დაბეჭდილ (ფრანგულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე) სხვა ისტორიულ მასალას. აღნიშნული მასალის ანალიზის საფუძველზე მიღებულია ზოგიერთი ცნობილი ისტორიული მოვლენის ხედვის ახლებური გააზრება, თვით თანამედროვე რუსეთის სახელმწიფოს ახალი მისიის ჩათვლით.

საკმაო ისტორიული მასალისა და წყაროების მოხმობისა და განხილვის კვალობაზე გამოთქმულია ვარაუდი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის საჭესთან მდგარი სოციალ-დემოკრატიული პარტიის, კერძოდ, მისი ლიდერის, ნ. ჟორდანიას საეჭვო საქმიანობის შესახებ. ნათქვამია, - ნ. ჟორდანია და მისი ზოგიერთი მომხრე, რუსეთის ე. წ. სოციალ-დემოკრატისთან კავშირის აღსადგენად, ხომ არ მიიჩნევდა, რომ ამისათვის საჭირო იყო - „მიყვანა მხარისა (ამიერკავკასია იგულისხმება- უ. ო.) იმ მომენტამდე, როცა შეიქმნება ყველასაგან ცნობილი რევოლუციურ-დემოკრატიული ხელისუფლება“, - როგორც ეს მათ 1917 წლის 11 ნოემბრის რევოლუციური ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობის დადგენილებით გადაწყვიტეს.

და ბოლოს, ნაშრომში მითითებულია, რომ „თუკი ჩვენს მიერ წამოყენებული თეზა საბოლოოდ

| | | | | | |
|---|----------------|---|---|--|------------------------|
| დამტკიცდება, კიდევ ერთი მყარი არგუმენტი გვექნება, თუ რატომ არ უნდა მივუშვათ არაეროვნული ძალები ეროვნული სახელმწიფოებრიობის საჭესთან“. | | | | | |
| 39 | უჩა ოქროპირიძე | აფხაზური პრობლემის თანამედროვე გაგებისათვის ISSN-0132-6058 | საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალი მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ენოლოგიის და ხელოვნების ისტორიის სერია) | თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, რუსთაველის გამზ. 52 | გადაცემულია დასაბეჭდად |
| <p>ნაშრომში მოცემულია აფხაზური პრობლემის თანამედროვე დონეზე გააზრების ცდა, რომელშიც აღნიშნული პრობლემის ხელოვნურად შექმნის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება ქართველი და აფხაზი ხალხის უბოროტეს მტერს, საბჭოურ ნომენკლატურას და მის ადგილობრივ სატელიტებს.</p> <p>საჭირო მასალის მოხმობით განხილულია ქართველი და აფხაზი ხალხების ნამდვილი ისტორიული წარსულის ის პერიოდი, როდესაც ისინი ერთმანეთის მხარდამხარ იდგნენ და თავგანწირვით ებრძოდნენ რუსული იმპერიალიზმის კოლონიურ პოლიტიკას; მოცემულია აფხაზი ხალხის ჭეშმარიტ მესვეურთა დამოკიდებულება ქართველი ხალხისა და მისი სახელმწიფოებრიობისადმი, - ამასთან, გაანალიზებულია თანამედროვე აფხაზეთში ხელოვნურად შექმნილი ურთულესი პრობლემების ანტიაფხაზური ხასიათი და მხილებულია მის შემოქმედთა ნამდვილი სახე და ბოროტი ზრახვანი.</p> <p>მოცემულია რეკომენდაციები არსებული ვითარებიდან თავის დასაღწევად და იმ ურთიერთნდობის აღსადგენად, როდესაც ერთმანეთი გვეიმედებოდა.</p> | | | | | |
| 40 | უჩა ოქროპირიძე | ქართული პრობლემები ქართველ ემიგრანტთა ნააზრევში ISSN-0132-6058 | საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალი მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ენოლოგიის და ხელოვნების ისტორიის სერია) | თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, რუსთაველის გამზ. 52 | გადაცემულია დასაბეჭდად |
| <p>ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია საქართველოდან უცხოეთში გადახვეწილ ემიგრანტთა მიერ გამოცემულ სტატიებსა და წიგნებში ქართული სახელმწიფოებრიობასა და მის პრობლემებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. იგი ძირითადად ეყრდნობა 1937 წელს პარიზში გამოცემული „ეროვნული გაერთიანების“, ცნობილი ემიგრანტი ეროვნული მოღვაწეების - ვ. ნოზაძის, ი. მანწკავას, ა. ასათიანის (ქართულ ენაზე), ნ. ჟორდანიას, გ. გვაზავას, შ. ოდიშარიას (ფრანგულ ენაზე), გამოცემულ წიგნებსა და პუბლიკაციებს, აგრეთვე პარიზში, ვაშინგტონსა და თბილისში დაბეჭდილ (ფრანგულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე) სხვა ისტორიულ მასალას. აღნიშნული მასალის ანალიზის საფუძველზე მიღებულია ზოგიერთი ცნობილი ისტორიული მოვლენის ხედვის ახლებური გააზრება, თვით თანამედროვე რუსეთის სახელმწიფოს ახალი მისიის ჩათვლით.</p> <p>საკმაო ისტორიული მასალისა და წყაროების მოხმობისა და განხილვის კვალობაზე გამოთქმულია ვარაუდი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის საჭესთან მდგარი სოციალ-</p> | | | | | |

დემოკრატიული პარტიის, კერძოდ, მისი ლიდერის, ნ. ჟორდანიას საეჭვო საქმიანობის შესახებ. ნათქვამია, - ნ. ჟორდანია და მისი ზოგიერთი მომხრე, რუსეთის ე. წ. სოციალ-დემოკრატიასთან კავშირის აღსადგენად, ხომ არ მიიჩნევდა, რომ ამისათვის საჭირო იყო - „მიყვანა მხარისა (ამიერკავკასია იგულისხმება - უ. ო.) იმ მომენტამდე, როცა შეიქმნება ყველასაგან ცნობილი რევოლუციურ-დემოკრატიული ხელისუფლება“, - როგორც ეს მათ 1917 წლის 11 ნოემბრის რევოლუციური ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობის დადგენილებით გადაწყვიტეს.

და ბოლოს, ნაშრომში მითითებულია, რომ „თუკი ჩვენს მიერ წამოყენებული თეზა საბოლოოდ დამტკიცდება, კიდევ ერთი მყარი არგუმენტი გვექნება, თუ რატომ არ უნდა მივუშვათ არაეროვნული ძალები ეროვნული სახელმწიფოებრიობის საქესთან“.

| | | | | | |
|----|---------------------|--|---|---|------------------------|
| 41 | გიორგი თავამაიშვილი | ქობულეთის მუნიციპალიტეტის ისტორიული წარსულიდან (მოკლე ექსკურსი ნეოლითის ხანიდან ელინისტური პერიოდის ჩათვლით) ISSN 1512-4991 | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XIV | ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | გადაცემულია დასაბეჭდად |
|----|---------------------|--|---|---|------------------------|

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სიმკვლეები საყოველთაოდ ცნობილია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დავით ხახუტაიშვილმა თავის ერთ-ერთ პოპულარულ ნაშრომში ეს რეგიონი ხატოვნად „ქობულეთის ქვეყნად“ მოიხსენია, ეყრდნობოდა რა ნიკო ბერძენიშვილის თეზისს, რომ „ქვეყანა საქართველოს შესწავლა მასში შემავალ „ქვეყანათა“ შესწავლით უნდა წარიმართოს“.

ფაქტია, რომ ქობულეთის „ქვეყანა“ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის წამყვანი რეგიონია, რომელიც არქეოლოგიურად შედარებით უკეთაა შესწავლილი. ზოგადად, საქართველოს ზღვისპირეთის ნივთიერი კულტურა საკმაოდ მრავალფეროვანია, ქრონოლოგიურად სხვადასხვა ისტორიულ ეპოქას მოიცავს და გარკვეული თვითმყოფადობით გამოირჩევა. ამ მიკროქვეყნის ნივთიერი კულტურა მოითვლის როგორც ნეოლითის, ასევე ადრე და გვიანბრინჯაოს ხანის, ადრე რკინის, ასევე ანტიკური პერიოდის და შუასაუკუნეების ეტალონურ ძეგლებს.

არქეოლოგიური გათხრების შედეგები თვალნათლივ მეტყველებს, რომ საქართველოს ზღვისპირეთი, თავისი ბუნებრივი ლანდშაფტური განფენილობით, მიმზიდველ გარემოს წარმოადგენდა ადამიანთა დამკვიდრებისა და ადრესამიწათმოქმედო კულტურის ჩასახვა-განვითარებისათვის. ზღვასთან სიახლოვე, ზღვისპირა ზოლის მომიჯნავე აკუმულაციური ველი მისი დაბლობით, უხვი ჰიდროქსელით, მრავალფეროვანი ფლორათი და ფაუნით, ყველა პირობას ქმნიდა სამეურნეო საქმიანობის ფართოდ გაშლისათვის. ამავე დროს, ზღვასთანვე სიახლოვე, გლობა-ლური გეოკლიმატური ცვლილებების პერიოდში, აიძულებდა აქაურ მკვიდრთ დიდი ხნით, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების დადგომამდე, მიეტოვებიათ საცხოვრისები და მოშორებით, მთისწინა ზოლში გადაბარგებულიყვნენ. ასეთი ბუნებრივი კატაკლიზმებისა და მიგრაციული პროცესების მიუხედავად, სწორედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში ჩამოყალიბდა კოლხური ცივილიზაციის ძირითადი ელემენტები მათ შორის თვითმყოფადი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხური კულტურა.

ქობულეთის „ქვეყანა“ ქართველური სამყაროს არა მარტო ფიზიკურ-გეოგრაფიული და სოციალ-ეკონომიკური ნაწილი იყო, არამედ სულიერი ცხოვრების თანამოზიარე იყო, რაც კარგადაა ასახული იმ ნივთიერ კულტურაში, რომელიც ქობულეთის „ქვეყნის“ არქეოლოგიური შესწავლის შედეგად არის

| გამოვლენილი | | | | | |
|--|----------------------|---|---|---|---|
| 42 | მაია ჭიჭილეიშვილი | „გრაფინია ფესენ- კოს“ სააგარაკო სახლი მახინჯა- ურში ISBN 978-9941- 9519-0-9 | „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), | ბათუმი | გვ. 70-74 |
| <p>მახინჯაურში, ბათუმი-მახინჯაურის სამანქანო გზასთან ახლოს მდებარეობს XX საუკუნის დასაწყისში აგებული „გრაფინია ფესენკოს“ სააგარაკო სახლი. კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე შენობა ამჟამად მიტოვებული და ძალზე დაზიანებული სახითაა მოდფეული. სახლი გამოირჩევა სივრცესთან ჰარმონიული სინთეზით, გარეგნული სიმსუბუქითა და უხვად ნაძერწი დეკორით. სახლი იმპერატოს ნიკოლოზ II-მ აუშენა თავის აღმზრდელს-მარია ფესენკოს. შენობა დაპროექტებული უნდა იყოს იტალიური არქიტექტორების მიერ. მის მხატვრულ გაფორმებაზე უმუშავია ცნობილ ქართველ მოქანდაკეს -სერაფიმე პოლოლიკაშვილს.</p> | | | | | |
| 43 | მაია ჭიჭილეიშვილი | ხალხური ხითხურობის ტრადიციები აჭარაში ISSN 1512-1324 | „საქართველოს სიძველენი“, ტ. 22 | თბილისი, | გვ. 284-300 |
| <p>ნაშრომში განხილულია აჭარის ხალხური ხითხურობის ტრადიციები, დასახლების ფორმები, ხითხურობის ნიმუშები - საცხოვრებელი სახლების ტიპები და სპეციფიკური თავისებურებანი, საცხოვრებელ სახლებსა და ხის მეჩეთებში წარმოდგენილი მხატვრული ელემენტები. საცხოვრებლებსა და საკულტო შენობებში გამოყენებული ფორმების მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა, მხატვრული დეტალების სემანტიკა უძველეს წარსულში იღებს სათავეს და ავლენს ქართული ტრადიციების მდგრადობას.</p> | | | | | |
| 44 | მაია ჭიჭილეიშვილი | ქობულეთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (საკულტო არქიტექტურა) ISSN 1512-4991 | ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XIV | ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთავე- ლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | გადაცემულია დასაბეჭდად, 20 გვერდი |
| <p>ნაშრომში განხილულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ქართული საეკლესიო არქიტექტურის ძეგლების (პეტრა-ციხისძირი, ხინოწმინდა, სამება, ცხრაფონა-ჩეხედანა), ბერძენ მოახალშენეთა ტაძრების თავისებურებები და მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობა. წარმოჩენილია ხალხური ხის არქიტექტურის საინტერესო ნიმუშის - სოფელ კვირიკეს მეჩეთის მხატვრული გადაწყვეტისა და ტრადიციების გავლენის საკითხი.</p> | | | | | |
| 45 | მაია ჭიჭილეიშვილი | სხალთის ეკლესიის რესტავრაციის | წმ. ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის | - | გადაცემულია დასაბეჭდად, 9 გვერდი |

| | | ისტორიიდან | შრომები | | |
|---|--|--|--|---|-------------|
| <p>ნაშრომში განხილულია სხალთის საეკლესიო კომპლექსის, ხუროთმოძღვრებისა და ფრესკების რესტავრაციის ისტორია. კვლევის შედეგად წარმოჩნდა, რომ მართებული და სასურველია ძეგლის ხელოვნებათმცოდნეობით კვლევას წინ უძღოდეს ნიმუშის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები, ხოლო თავად ნიმუშის რესტავრაცია ეფუძნებოდეს ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის რეკომენდაციებს და ითვალისწინებდეს ძეგლის ღირებულებას, ისტორიული ავთენტური ნაწილების დაცვას.</p> | | | | | |
| 46 | ირინე ვარშალომიძე | ბიზანტიური მონეტა ფიჭვნარიდან, ISSN 1512-0716 | ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, VIII | ბათუმი, გამომც. „ჯეოპრინტი“ | გვ. 163-165 |
| <p>ნაშრომში განხილულია 2017 წელს ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მიერ ფიჭვნარში მცხოვრებ ნათია გიორგაძისგან შეძენილი სპილენძის მონეტა, რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში ფიჭვნარში, ხუსეინ გიორგაძის საყანე ნაკვეთის ტერიტორიაზე შემთხვევით ნაპოვნი. იგი ანასტასი I (491-518 წწ.) სახელით კონსტანტინეპოლშია მოჭრილი. მოცემულია მონეტის აღწერილობა, დადგენილია ემისიის წლები, მოზიდულია პარალელური მასალა. ბიზანტიური მონეტის აღმოჩენა პირველად დაფიქსირდა ფიჭვნარის ტერიტორიაზე. ახსნილია მონეტის ფიჭვნარში გამოვლენის მიზეზები. VI საუკუნეში ბიზანტიის იმპერიამ ირანის წინააღმდეგ ბრძოლის გამო ლაზიკაში, სამხედრო გარნიზონი ჩააყენა. სპილენძის მონეტები სწორედ ჯარისკაცთა ხელფასი იყო. როგორც ჩანს ფიჭვნარში ბიზანტიური მონეტა ციხისძირიდან გავრცელდა.</p> | | | | | |
| 47 | მერაბ მეგრელიშვილი, იბრაიმ დიდმანიძე | ახალგაზრდა მწარმოებელთა საქმიანობა საქართველოში; ISSN 1512- 0333 | საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდის ჟურნალი „ინტელექტი“ №3(62), | თბილისი, | გვ. 16- 20 |
| <p>სტატიაში ბსუ სოციოლოგიური გამოკითხვის და სტატისტიკური მასალის საფუძველზე წარმოდგენილია ახალგაზრდა მწარმოებლების საქმიანობა და მისი განვითარების პრესპექტივები. სტატიაში საუბარია არა მხოლოდ საქართველოში ახალგაზრდა მწარმოებლების საქმიანობაზე, არამედ იმ ხელშემწყობ თუ ხელისშემშლელ ფაქტორებზე, რაც დადებითად უარყოფითად ასისახება მათ მიერ განხორციელებულ სხვადასხვა ფორმის აქტივობებზე. ასევე სტატიაში წარმოდგენილია რეკომენდაციები</p> | | | | | |
| 48 | მერაბ მეგრელიშვილი, ნიკოლოზ მეგრელიშვილი | ირანელები ბათუმში; ISSN 1987-8745 | „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), X, | ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | გვ. 240-247 |
| <p>XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან აჭარაში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს შეადგენდა ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის (უწოდებდნენ ინოროდცებს და ტუზემცებს) უფლებების შეზღუდვა, ეროვნული შუღლის გაღვივება, მათი იძულებით გადასახლება და ბათუმში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისთვის ხელის შეწყობა. ამ მხრივ საინტერესოა ამ პერიოდში ბათუმში ირანული წარმომომავლობის მოქალაქეების ყოფა-კულტურის</p> | | | | | |

ისტორიის საკითხების შესწავლა. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ირანელთა ცხოვრებამ ბათუმში გარკვეული კვალი დატოვა აჭარის საზოგადოებრივ პოლიტიკური მოძრაობის ისტორიაში. 1906 წლის დეკემბრიდან ირანში განვითარებული სოციალისტური ხასიათის რევოლუციური მოვლენების ბათუმში შესაძლო გამოძახილის გამო ბათუმის რუსული მმართველობა შიშს გამოთქვამდა და ირანის კონსულს მოუწოდებდა გაეწია ქმედითი კონტროლი ბათუმში მცხოვრები ირანელი მოქალაქეების მიმართ. ეს შიში იმითაც იყო გამოწვეული, რომ ირანის რევოლუციაში 180 ქართველი მონაწილეობდა. საბჭოთა პერიოდში იდეოლოგიური შეუთავსებლობის გამო განხორციელდა ირანელთა ემიგრირება საკუთარ ქვეყანაში. ირანელთა ბათუმში ყოფისა და კულტურის ისტორიის შესწავლის ინტერესს აძლიერებს ის გარემოებაც, რომ ირანთან გვაკავშირებს ისტორიული წარსული.

| | | | | | |
|----|--------------------|--|---|---|-------------|
| 49 | მერაბ მეგრელიშვილი | რელიგიური დაწესებულებები აჭარაში XX საუკუნის 50-იან წლებში (აჭარის სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით); ISSN 1987-5916 | „ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), X, | ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | გვ. 176-182 |
|----|--------------------|--|---|---|-------------|

